ლამპარი

თ ფ ი ლ ი ს ი

ქვირა, 18 (2) ივნისი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 45 ყოველ-დღიური გაზეთი. № 45

თფილისელი ასოთ-ამწყობნი გულითადი მწუხარებით ეცნობებით ამხანაგებს და ნაცნობ გარდაცვლების ძვირფას ამხანაგის

იუსტინე ვადაჭკორიასას

დაკრძალვა მოხდება დღეს, 18 ივნისს, სოფ. ჭანჭახში, მთავარანგელოზის ტაძარხიში.

ლამპრის“ რედაქციაში იყიდება ბეული გამოცემის ქაღალდი. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ რედაქციის კანცელარიას.

(10—5)

ვეტცელის თეატრი

ქვირას, 18 ივნისს, 1906 წ.

ჩვენის გზის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა

1

ხელოვნება თუ კაპკარდა

კომ. 3 მოქ. რუსეთის ცხოვრ. ალექ. ბაქრაძისა.

2

საღამოს ერთი სცენური ხვირია

კომ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანისა.

დასწყება სდებას 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

გამგე ალ. ბაქრაძე

ამ მოკლე ხანში თფილისში გამოვა ახალი ყოველ დღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი

ახალი ცხოვრება

გაზეთის ფასია: თფილისში წლიურათ 5 მ. თვიურათ 50 კ., ქალაქ გარეთ — 6 მან. 60 კ. ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

რედაქციის დროებითი ადგილი: Тифлисъ. Редакція газеты „Кавкъ“, Сололакская № 3.

ამა ივნისის 22-დან თფილისში გამოვა ყოველ კვირეული სახალხო გაზეთი

გლეხი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს შრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და გაცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის შრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელ ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაპიტალისტებს განაჩენს და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულ ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა: წლის დასწევამდე 1 მან. და 60 კაპ., სამი თვით — 80 კაპ., ცალკე №—6 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (სახიორის ქუჩა, № 43) და წერა-კითხვის სახოგადოების მაღაზიაში.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ნასუტრიშვილი.**

ამ ორი თვის წინეთ დაიკარგა თფილისის ტრამვაის კონდუქტორი

კონსტ. იმნაიშვილი

ნიშნები: მაღალი ტანის, შავი თმა, წერის ისარსაც, ქუჩაზე შეშლილია. გთხოვთ ვინც იცით ან შეხვედით გააგებინოთ ლანჩხუთში ონოფრე იმნაიშვილს. (4—3)

ბაქოს მცხოვრებ ფ. გურანდ-გასპოვის კასტორა

„პოლიდა“

ქ. ქუთაისში.

ეტყობილს: 1) ხელის მოწერას მთელი ბუღერნიისთვის ყველა ადგილობრივ და სატახტო პროგრესიულ გაზეთებზე, 2) ბეჭდვაში დასასტამბო განცხადების ტარიფის პირობისა და დაწესებულებათაგან, 3) წაგების საკმაისაოა და 4) ფიდის ცალკე ნომრით ადგილობრივ და სატახტო უფრო გავრცელებულ პროგრესიულ გაზეთებს იმ ფასებში, რაც ზედ ეწერა ე. ი. 3 და 5 კაპ.

ის. კვიციანიძე.

ოცი ბატონება

პლეხანოვის უკანასკნელ წერილში მოყვანილია ენგელსის სიტყვები პლანკისტურ ტაქტიკის დასახასიათებლათ; პლანკის სწამდა, ამბობს ენგელსი, „რომ პატარა, მაგრამ მჭიდროთ შეკავშირებული უმცირესობა ეძლება მოხერხებულ დროს აჯანყება გამოიწვიოს, თავის პირველ გამარჯვებით გაიტაცებს ხალხის მასასს და ამნაირათ რევოლიუციის მოახდენსო“. ესეთი სარევოლიუციო ტაქტიკა სრულიად არა გაქს მარქსისტულ ტაქტიკას. როგორც პლეხანოვიც დასძენს, მარქსისტული ტაქტიკა მოითხოვს მასსის ორგანიზაციას, პლანკისტური ტაქტიკის მიხედვით კი უნდა მოქმედებდენ მხოლოდ შეგნებული რევოლიუციონერები, ხალხი, მასსა კი დახმარებას უნდა უწევდეს; მარქსიზმი გვასწავლის, რომ ცხადი ბრძოლა ძველ რეჟიმთან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც რევოლიუციონური ცეცხლი მოედება მთელ მასსას; პლანკისტები კი ფიქრობენ, რომ ცხადი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვყავს ორგანიზაციულათ შეკავშირებული რევოლიუციონერები.

დიდი ხანი არ არის, რაც პლანკისტურმა ტაქტიკამ ჩვენს პარტიაში იჩინა თავი, მაგრამ უკვე თვალ-საჩინო ვნება მოუტანა პროლეტარიატის განმთავისუფლებელ ბრძოლას. პირველი თვალსაჩინო ვნება ის იყო, რომ სოც.-დემოკრატიის პლანკისტურმა ფრაქციამ პროლეტარიატის დიდ ნაწილშიაც პლანკისტური სული შეიტანა: პროლეტარიატი დაარწმუნა, რომ შეგნებულ რევოლიუციონერთა ჯგუფს შეუძლიან თავისით თვითმპყრობელობა დაამხოს. ამ რწმენამ აიღებინა წარსულ დეკემბრები შეგნებულ პროლეტარიატს იარაღი მოსკოვში, რისტოვში და სხვა ქალაქებში, ამ რწმენამ აღუძრა მას იმედი გამარჯვებისა, ამ რწმენის ბრალია, რომ შეგნებული პროლეტარიატი ვერ მიუხედა მთავრობის ვერაგულ პროვოკაციას. განმარტოებული მებრძოლნი—რევოლიუციონერები—მთავრობამ ადვილათ დაამარცხა და რევოლიუციონერთა სისხლმა კიდევ შეაძლებინა მას თავის სიცოცხლის განგრძობა.

მეორე უშველებელი ვნება პლანკისტურ ტაქტიკისა არის სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი. ჩვენი პარტიის პლანკისტურ ფრაქციას გადამეტებული წარმოდგენა ქონდა რევოლიუციონურ ჯგუფების ძალაზე; ჩვენი პლანკისტები ფიქრობდენ, რომ შეუძენელი რევოლიუციონერები დაინახავენ შეგნებულ მასსას, რა ვერაგული ბრალი იწევს მთავრობა დუმას, რა ხრიკებს ხმარობს მთავრობა, რომ დუმაში ხალხის წარმომადგენლების ნაცვლათ ხულიგანები მოხვედრ. მასსა დაიყვირებს რევოლიუციონერების ირჩევას და უარს იტყვის არჩევნებზე; ამნაირათ დუმის არჩევნები არ შედგება და მთავრობის ვერაგული პოლიტიკა გაბათილდება. ამნაირათ ტაქტიკამ, როგორც ეხლა თვით „ბალშევიკები“ შეიგნიერათ ხედავენ, მაჩატა ის ნაყოფი მოიტანა, რომ მხოლოდ შეგნებულმა პროლეტარიატმა არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მთელმა ხალხმა დიდი მნიშვნელობა მისცა არჩევნებს და გაყვა იმ პარტიას, რომელმაც დუმისკენ უწევნა გზა—კადეტების პარტიას; პირველ შეხედვაზე რადიკალურმა ტაქტიკამ ბლანკისტებისამ პროლეტარიატი არჩევნების საქმეში კადეტების კუდში მოაქცია და კადეტების სამოწყალო გახადა (მოეგონოთ სალელიევის არჩევა მოსკოვში).

ამ ვითარ ჩვენს პარტიაში კიდევ ერთხელ შეეტაკენ ერთმანეთს ბლანკისტური და მარქსისტული ტაქტიკა. მარქსისტულ ტაქტიკას ადგია ცენტ. კომიტეტისაგან შემუშავებული რეზოლიუცია სახელმწიფო დუმის „კამპანიის შესახებ; ბლანკისტურ ტაქტიკის გამომხატველი ერთი ჯგუფის მიერ შემუშავებული და „ბალშევიკურ“ „ვპერიოდ“-ის მიერ მიღებული რეზოლიუცია იმავ საგნის შესახებ.

ცენტ. კომ. მშვენივრათ ხედავს, რომ დუმას და მთავრობას შორის მომხდარ კონფლიკტში ხალხის მთელი თანაგრძნობა დუმისკენ და მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც წინათ ვარწმუნებოდით ხალხს, ნუ მიიღებ არჩევნებში მონაწილეობასო, მაგრამ ვერ დავარწმუნეთ, ეხლაც შეუძლებელია ხალხის დარწმუნება, რომ დუმა მას ვერ მისცემს „მიწას და თავისუფლებას“. ხალხი მხარს უჭერს დუმას, ამას ვერავინ უარყოფს, მხარის დაჭერა კი იმაში გამოიხატება, რომ ეხლანდელი სამინისტრო დაეცეს და მისი ადგილი დაიკიროს დუმისგან არჩეულმა სამინისტრომ. მაუხედა ჩვენი ცენტ. კომ. ხალხის ამნაირ სურვილს და თავის ტაქტიკაში შეიტანა.

„მაგრამ ეგ ხალხის ღალატია“! გაიძახის ბალშევიკური „ვპერიოდი“: „კადეტური სამინისტრო ხალხს გაყიდს, მთავრობასთან შეთანხმდება“! შეიძლება, მაგრამ რით გინდა დაარწმუნო ხალხი, რომ კადეტები მას ვერ დააკმაყოფილებენ, რომ კადეტები მას უღალატებენ? — ამის დასანახვებლათ საჭიროა ის „თვალსაჩინო გაკვეთილი“, რომელზედაც მივითითათ პლეხანოვის „დნევნიკ“-ის მე-5 ნომერში. თქვენ სიტყვით განდათ დაუმტკიცოთ ხალხს კადეტების ორპირობა, ცენტრალური კომიტეტი კი საქმით ამტკიცებს ამას. თქვენ მხოლოდ გეუბნებით დუმაზე მინდობილ ხალხს, როცა კადეტები ძალას ჩაიგდებენ ხელში, შენი სურვილის დაკმაყოფილებაზე უარს იტყვიანო; ცენტრ. კომ. კი ხალხს საქმით აჩვენებს, რომ კადეტებს არ შეუძლიათ ხალხის დაკმაყოფილება. თქვენ არ გნებავთ, მთელ დუმას დაუპიროთ მხარი, თქვენ გნებავთ დუმის რევოლიუციონურ ელემენტებისგან დააარსოთ „დროებიული კომიტეტი“. თქვენს ტაქტიკას ის შედეგი მოყვება, რომ ხალხი თავის გზას არ ულალატებს და, რადგან თქვენ ამ გზაზე წინ ელობებით, გზას იქით გაგისვრით, როგორც გაგისროლათ არჩევების დროს; ამნაირათ კიდევ ერთხელ „რევოლიუცია განმარტოვდება“ (изолируется), როგორც განმარტოვდა“ და დეკემბერში და არჩევნების დროს. ამნაირათ თქვენი მიმყოლი სოც.-დემ. პარტია კიდევ ერთხელ მოხვდება ხალხის მოძრაობის კუდში. ცენტ. კომ. ტაქტიკა კი იმ ნაყოფს გამოიღებს, რომ ხალხი სოც.-დემოკრატიის თაოსნობით ჩამოაგდებს ეხლანდელ მთავრობას, მოიპოვებს სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლებას და თავისუფლების სანაცვლოდ გამოსცემს ფრთას გაშლის, ძალას მოიკრებს და ერთის დარტყმით მოსპობს კადეტების დიქტატურას, რამწყნის დაინახავს, რომ კადეტები ორპოზიციაში და ხალხის სურვილებს წინ ეღობებიან.

ამნაირათ, თუმც ჩვენი ბლანკისტები უფრო ბეჯს ყვრას კადეტების ღალატზე, მაგრამ ცენტრ. კომიტეტი უფრო ბეჯს სჭერს ხალხის ყველა კადეტების ორპოზიციის გამოსამელავებლათ. ბლანკისტური ტაქტიკა სოც.-დემოკრატიას მოაქცევს მთავრობის ბოდიშში, მარქსისტული ტაქტიკა კი ხალხის წინ.მძღოლათ გაგვხდის.

ღელვანდელ ვითარებაზე.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ის დიადი როლი, რომელიც დუმამ შეასრულა რევოლიუციაში თავის გარშემო მთელი ხალხის შემოკრებით და ამოძრავებით. ასეთი როლი შეასრულა დუმამ იმდენათ თავისი საკუთარი მეცადინეობით კი არა, რამდენადაც თვით თავისი არსებობით. ხალხის დიდი უმრავლესობის თვალში დუმა მოწოდებულია ხსნა და შველა მიანიჭოს საუკუნოთით დატანჯულ-დაბეჩავებულ ქვეყანას. და ამის თავდები თითქო ის არის, რომ დუმა შედგენილ იქმნა ხალხის წარმომადგენლებაგან, რომელნიც უეჭველათ ხალხის კეთილდღეობაზე თავგამოდებით იბრუნავენ: თვით არჩეული დეპუტატებიც თავისი დაპირებებით ასეთ იმედებს კიდევ უფრო ცეცხლებენ, კიდევ უფრო განუწტკივებენ ამბრჭვლებს. ყოველივე ამის გამო დუმა გადაქცა ისეთ ცენტრათ, რომელზედაც მიპყრობილ იქნა მთელი ხალხის უურადღება; დუმის თვითეული ნაბიჯი, თვითეული იქ ნათქვამი სიტყვა, ყოველი მისი თავგადასავალი ცხოველათ აინტერესებს მთელი რუსეთის ხალხს და ეს ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს დუმის ბედის ჩარხის ტრიალს. მთელი ხალხი დუმასთან ერთათ ცხოვრობს, მისი ჭირი და ღხინი თავის ჭირათ და ღხინათ მიაჩნია. ამნაირათ დუმა ხდება თითქო მთელი ხალხის გული, რომლის ფეთქვა-მოძრაობა, მთელი ორგანიზმი მოყავს მოძ-ოობაში. ამნაირათ აერთებს დუმა მთელი იპერიის ხალხს „ერთგვარი“ ინტერესებით, ერთგვარი პოლიტიკური კითხვებით, ერთგვარი სულიკვეთებით; აერთებს და აკავშირებს ყოველივე ამით მთელ დღევანდელ რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელიც დუმის მოწვევითვე მეტის-მეტათ უწესრიგოთ და დაქაქსულათ წარმოგვდა. თვითონ მთავრობას, რასაკვირველია, ამ მიზნით კი არ მოუწვევია დუმა, პირიქით, დუმის მოწვევით მას რევოლიუციონურ მოძრაობის უარესი დაქაქსვა და მოსპობა ჰქონდა მიზნათ. აღნიშნული როლი დუმას ძლევა-მოსილმა რევოლიუციამ მოაბია თავზე; ის მნიშვნელობა, რომელიც მან დღევანდელ რევოლიუციაში მოიპოვა, ისტორიამ მიანიჭა მას.

ვიმეორებთ, დუმამ თავის გარშემო მთელი ხალხი შემოკრიბა და მისი მოძრაობა გაიფრთიანა იმდენათ თავისი საკუთარი მეცადინეობით კი არა, რამდენათაც თვით თავისი არსებობით.

ახლა საკითხი ის არის: აღნიშნულ როლის ნება-უნებური შესრულების შემდეგ რამდენათ ხელს უწყობს დუმა რევოლიუციონურ მოძრაობას თავისი საკუთარი ქმედობით?

თუ ხალხი ხსნას და შველას გამოელოდა დუმისაგან, ეს, რასაკვირველია, მხოლოთ მისი პოლიტიკური გაუნათლებლობის შედეგია, მისი ოცნების ნაყოფია, უსაფუძვლო ილუზიაა. დუმა მარტო თავისი საკუთარი ძალღონით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ, ეს კიდევ ცოტაა: დუმა, მთელთ ღებებული, არც კი მოისურვებს და, მით უმეტეს, არ ეცდება დაკმაყოფილოს ხალხის ყოველგვარი მოთხოვნები. მთელი ხალხის მისწრაფება დღეს სრულიათაც არ ეთანხმება მთელი დუმის სულის-კვეთებას. დუმის ბატონობილ უმრავლესობის ინტერესები ხშირათ პირდაპირ ეწინააღმდეგება ხალხის უმრავლესობის ინტერესებს. უველაზე უფრო მკვეთ წინააღმდეგობა დუმის და ხალხის ინტერესებ შორის არსებობს აგრარულ კითხვის მხრივ. გლეხობის მთავარი მოთხოვნაა მის სასჯარგლოთ მემამულეთა ან მიწების ჩამოართმევა, დუმის უმრავლესობა კი, რომელიც უმთავრესათ სწორეთ მემამულეთაგან შედგება, ამ მოთხოვნას ვერაფერი გზით ვერ მოინელებს. ამიტომაც არის, რომ დუმის უმრავლესობამ ისე მედგრათ უარყო შრომის ჯგუფის წინადადება—დაარსდეს ადგილობრივი კომიტეტები აგრარულ კითხვის გადასაწყვეტათ: ეს კომიტეტები, უმთავრესათ, მიწაზე გლეხების გან მემამულეთა სასიმოვნოთ რიდი გადაწყვეტენ აგრარულ კითხვას.

როგორც აგრარულ, ისე საზოგადოთ უველ ეკონომიურ კითხვებს ხალხი დუმაზე გაცილებით უფრო ფართოთ და რადიკალურათ, რევოლიუციონურათ აყენებს და ეი ამ მხრივ დუმა არასოდეს მხარს არ დაუჭერს ხალხის მოთხოვნებს.

შეიდარებით მეტ „რადიკალობას“ იჩენს დუმა პოლიტიკურ კითხვებში და ამ მხრივ მისი ინტერესები კიდეც უფრო ეთანხმება ხალხის ინტერესებს: პოლიტიკური თავისუფლება, დღევანდელ თვითმპყრობელ მთავრობის დამხობა მთელ ხალხთან ერთათ ესაჭიროება ბურჟუაზიასაც და, მაშასადამე, დუმის უმრავლესობასაც. ამ ნიადაგზე დუმას შეუძლია უფრო მედგრათ დაუპიროს მხარი ხალხის მოთხოვნებს და ეი ჩვენ კიდეც ვხედავთ, რომ ამ მხრივ დუმა შეადარებით უფრო ენერგიულათ იბრძვის არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ: იგი საკმათო თაგებამდებით მოითხოვს დღევანდელ მთავრობის გადაყენებას და სხ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ მხრივაც, დუმის სულის-კვეთება სრულიათაც არ ეთანხმება სასჯებით ხალხის მოთხოვნას. ხალხის ინტერესი მოითხოვს სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას, ხალხის ძალა-უფლების დამკვიდრება მოასწავებს „ტლანქი“ ხალხის „გაბატონებას“ ბურჟუაზიაზე, ხალხის მიერ ბურჟუაზიის ინტერესების „დაჩაგრას“, ეი რით აიხსნება, რომ დუმა მთავრობასთან ბრძოლაშიაც ვერ იჩენს საჭირო სიმტკიცეს. თუ ერთი მხრით ის ცდილობს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის გაუქმებას, მეორე მხრით ის დიდათ უფრთხის ხალხის „გაბატონებისაც“. ამ ნაირათ დუმა ორ ცეცხლშეაა. აქედან წარმოსდგება მისი ყოყმანი, მისი გაუბედავი, ორპოფი მოქმედება. მას ვერ გადაუწყვეტია ვერც ის, რომ ხალხის პოლიტიკურ მოთხოვნებს სავსებით მხარი დაუჭიროს, ვერც ის, რომ არსებულ მთავრობას, რამოდენიმე მინც, დაეყრდნოს; მას ვერ გაუბედნია ვერც ის, რომ ხალხის მოთხოვნას აშკარა წინააღმდეგობა გაუწიოს, ვერც ის, რომ არსებულ მთავრობასთან საბოლოოთ გაწყვეტოს ყველ გვარი კავშირი. მას ერთათ-ერთი გასავალი დარჩენია: მოახერხოს როგორმე დუმის უმრავლესობისგან სამინისტროს შედგენა. ამით მას იმედი აქვს, რომ პოლიტიკურ ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებს და მაშინ ადვილათ მოიგერიებს მტრებს როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ, ადვილათ გაუსწორდება როგორც ხალხის „უზომო“ მოთხოვნებს, ისე ბიუროკრატიის უზომო თვითნებობას.

რამდენათ ხელს უწყობს დუმის არსებული პირობები, რომ მან მიზანს მიაღწიოს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ „გრძნობს თავს“ ამ ჟამათ მთავრობა და თუ როგორი დამოკიდებულება აქვს დღეს დუმასთან თვით ხალხს და მის ნამდვილ წარმომადგენლებს. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ხ. ნემსიდაშვილი.

დუმა და ხალხი

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმა. თავმჯდომარეს, პირი ფორდანას.

16 ივნისს დაბურულ სტამბების რიცხვს მიუმატეს „გუტენბერგის“ სტამბა. ხუთაეულ პროგრესიულ ორგანოებს, ხუთაეულ სტამბებს, რომელებშიაც იბეჭდებიან ეს ორგანოები, ქუჩებში ჰყრიან სტამბის მუშებს და ამგვარათ ავსებენ რუსეთში უსაქმოთ დარჩენილ მუშათა ისედაც მრავალრიცხოვან ჯარს. ჩვენ, თფილისელი სტამბის მუშები, პრასტეტს ვუცხადებთ თფილისის გენ.-გუბერნატორს ტრიფონეევს ამ გვარ უსიზრუნო მოქმედების წინააღმდეგ, მოვითხოვთ ჩამორეთვას მოძალადეებს ასეთი პრეროგატივების, მოვითხოვთ ამგვარ „მოღვაწეების“ დაუყონებლივ სამართალში მიცემას და ვთუწ-

უებთ ამხანაგებს, რომ ჩვენ უმუშევრობით შიმშილით დავიხოცებით. არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ადამიანს რომელიმე, თუნდა უსაშინელეს დანაშაულისათვის შიმშილით სიკვდილს უსჯავდეს. იბრძოლეთ ამხანაგებო დახავსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, რომელმაც ჩვენ ასეთი მხეცური სასჯელი გადაგვიწყვიტა—სამუშაო წაგვართვა. ჩვენ კი, უმუშევრობით დარჩენილებმა, კარგათ ვიცით, რომ რევოლიუციას მხოლოდ მშიერები აწარმოებენ, და რომ ჩვენ გვიხსნის არა დუმა, არამედ დამფუძნებელი კრება.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს კავკასიელ დეპუტატს **ნოე ჟორდანიას.**

მრავალ რიცხოვანი სახალხო კრება სოციალდემოკრატიულ სალამს უძღვნის სახელმწიფო სათათბიროს ს.-დემოკრატ დეპუტატებს და მოითხოვს მათგან თავგანწირულ რევოლიუციონურ ბრძოლას სრულ პოლიტიკურ ამნისტიისა და დამფუძნებელ კრებისათვის საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე მოსაწვევათ. მასთან ვახსენებთ მათ, რომ ჩვენ როგორც ერთი კაცი მხარს დავუჭერთ მათ ამ მოთხოვნილებისთვის ბრძოლაში, მხოლოდ მათი განხორციელება იხსნის მრავალტანჯულ რუსეთის ხალხს პოლიციურ-ბიუროკრატიულ ოპეკისაგან.

მიქელ-გაბრიელის საზოგადოება (გურია).

კრების მონდობილობით: ბ. ბოლ—ძე, თ. გორდელაძე, ა. მეგრელიძე.

ახალი ამბები

✦ თფილისში გუშინ კერძო დეპეშა მიიღეს, რომლითაც იტყობინებიან, რომ **დუმის თავმჯდომარეს მურომცევს წინადადება მიეცა შეადგინოს ახალი სამინისტრო** დუმის უმრავლესობისაგან. მინისტრებათ ასახელებენ თურმე მილიუკოვს, ურუსოვს, კონის, გრ. გეიდენს და სტახოვიჩს.

✦ რადგანაც **„გუტენბერგის“ სტამბა** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა, გაზეთი „კაიწი“, რომელიც ამ სტამბაში იბეჭდებოდა, დღეს ველარ გამოდის.

✦ დრ. გენერალ-გუბერნატორის ნებართვით გუშინ ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება თფილისში **უსაქმოთ დარჩენილ მუშებისა**. კრებას თავმჯდომარემ გააცნო მუშების მიერ შემუშავებული წესდება, რომელიც შეეხება სამუშაო დღის დაწესებას, მუშათა საბჭოს და სხვ. ამოირჩიეს 29 კაცი, რომელნიც შეადგენენ ერთს ცენტრალურსა და შემდეგ რაიონულ ბიუროებს. ამათ უნდა გადაათვალიერონ სიები, რომ იქ ისეთები არ იყვნენ ჩაწერილნი, რომელნიც სამუშაოს არ საჭიროებენ და სხვებს ხელს უშლიან.

✦ თფილისის სადგურის მახლობლათ გუშინ ნახეს ერთი **მოკლული ლეკი.**

✦ ჩვენ გადმოგვცეს შემდეგი: **ხარფუხის საქალაქო სკოლაში** 6 წელიწადი მოსამსახურეთ იყო ისაკ ლაცაბიძე. ლაცაბიძეს ჯამაგირი თვეში 8 მანათი ეძლეოდა თურმე; ნამდვილი ჯამაგირი კი ქალაქისაგან 18 მანათი ყოფილა გადაწყვეტილი. ამ უკანასკნელ დროში სკოლის მასწავლებელს მღვდ. ბენიამ კონტრიძეს სულ უდანაშაულოთ დაუთხოვია თურმე.

✦ დღეს, საღამოს 9 საათზე, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების შენობაში (ალექსანდრეს ბაღში) დანიშნულია დრ. გენ.-გუბერნატორისაგან ნება-დართული **ფარმაცევტების კრება.** კრებაზე განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) ფარმაცევტთა საზოგადოების კრების უმაღლესად დამტკიცებულ საპენსიო დამხმარებელ კასის; 2) უსაქმოთ დარჩენილ ფარმაცევტების და 3) ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირის დაარსების შესახებ და სხვა.

✦ დღეს, 18 ივნისს, დილის 11 საათზე თფილისის საკრებულოს დარბაზში (გოლოვინის პროსპექტზე, დანიშნულია თფილისის **ვაჭრებისა და მრეწველების კრება** კრებაზე უნდა განიხილონ პროექტი „თფილისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის“ დებულებისა.

✦ **ქუთაისიდან გვატყობინებენ,** რომ ვიღაც უცნობს 15 ივნისს ღამის 2 საათზე თოფით დაუჭრია ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორის ბინის მახლობლათ მდგარი მორიგი დარაჯი.

✦ **ქუთაისის ციხეში** ამ დღეებში ტუსაღს ნ. ჭელიძეს დანით მძიმეთ დაუჭრია მეორე ტუსაღი ანტონ ქუთათელაძე.

✦ თფილისში ჩამოვიდნენ და 16 ივნისს ნამესტნიკს წარუდგნენ ეპისკოპოსები ლეონიდი და გიორგი. ამათთან ერთად ნამესტნიკს წარუდგა ეპისკოპოსი პეტრე.

✦ ქართლიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ იქაური გლეხები თანდათან გათამამდენ ხშირათ იკრიბებიან თურმე, მიტინგებს მართავენ **ბაჟერს წყევა-კრულვით იხსენიებენ.**

✦ დღეს, 18 ივნისს, საღამოს 4 საათზე, თფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **თფილისის მოსამსახურეთა კრება** რომელზედაც ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსებაზე იქნება ლაპარაკი.

✦ **კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში** 15 და 16 ივნისს, ხალხის დაუსწრებლათ, გენერალ-მაიორის რატინსკის თავმჯდომარეობით გაირჩა საქმე სპარსეთის ქვეშევრდომის სახლი-ალი-შაფ-ალი-ოღლისა და არეშის მაზრის მცხოვრებთ ახმედა-მუსტაფა-ოღლისა, მაჰმედ-ალის შეოღლისა და მაჰმედ-ლატიფ-ოღლისა. ამათ ბრალდებოდათ 1905 წლის ნოემბერში მირზა-აგასაროვზე თავდასხმა მისი სასიკვდილოთ დაჭრა, და პოლიციის წინააღმდეგობის გაწევა. 16 ივნის, დღის 2 საათზე სასამართლომ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც სპარსეთის ქვეშევრდომი სახლი-ალი-ოღლი და გლეხები—ახმედ მუსტაფა-ოღლი ორივე დამნაშავეთ იქნა ცნობილი და **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს**, სხვა სამი კაცი კი გაამართლეს

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 18 ივნისს, **ვეტცელის თეატრში** რკინის გზის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა ალ. ბაქრაძისა—„ხელოვნება თუ კაკარდა“? დ. გ. სუნდუკიანცის კომედიით „საღამოს ერთი ცხვარი ხეირია“.

✦ ითარგმნება და ჩქარა დაიბეჭდება „მუშათა პროფესიონალური კავშირები“ ს. გოზნესენსკისა.

✦ რედაქციამ მიიღო „პარიჟის რევოლიუცია“ 1848 წელს ლიბკნეხტის, თარგმანი პ. კალანდაძისა. წიგნი შეიცავს 36 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს შაური. გამოცემა მუშისა. და „ყაჩაღი და მადლენა“ შირიოსა, თარგ. ნინო შარაშიძისა. გამოცემა კიკნაძისა. ღირს 20 კ. ორივე წიგნები „ლამპრის“ სტამბაში იბეჭდება.

✦ გამოვიდა და იყიდება ერნესტ რენანის—„ცხოვრება იესოსი თარგმანი ია ეკალაძისა, ავტორისა და იესოს სურათით. სვანიშვილისა და ვ. გადიალიას გამოცემა. წიგნი სუფთათაა გამოცემული და ღირს 50 კაპ.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „ბავშვის მოვლა“, პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა, ექიმ ვ. ღამბაშიძის წინასიტყვაობით. წიგნი ლამაზათაა გამოცემული და ღირს 25 კაპ.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „სხივი“-ს ამხ. მიერ გამოცემული, სახელათ „სამეცნიერო საუბარი“. ეს წიგნი წარმოადგენს ენგელსის „სამეცნიერო სოციალიზმის განვითარების“ თარგმანს, წიგნი ღირს სამი შაური.

✦ რედაქციამ მიიღო ბ-ნ ტრ. რამიშვილის 4 მოქმ. პიესა „მეხობლები“ წიგნი სუფთათაა დაბეჭდილი. ღირს 40 კ.

✦ რედაქციამ მიიღო „მეფის გაპარვა პარიჟიდან“. თარგმანი ზ. ჩიჩუასი. ფასი 4 კაპ.

შეცდომის გასწორება: პირველი რაიონის რეზოლიუცია. „ლამპრის“ მე № 43. იყო მოთავსებული რეზოლიუცია რომელშიც გამოტოვებული დაგვრჩა სადაც უნდა ყოფილიყო ნათქვამი: განურჩევლათ ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოებისა.

პროვინცია.

როგორ ეგებებოდენ რკინის გზის სადგურებზე ჩვენს დეპუტატებს. როგორც შეითხვეულით, იგიან, 2 ივნის გამგზავრა სახელმწიფო დუმაში ოთხი დეპუტატი (სოციალდემოკრატები), გზა და გზა პატარა სადგურებზედაც კი ხალხი ელოდებათ ეგებებოდა, „ურა“-ს და „ვაშა“-ს ძახილით აცილებდა.

სდ. ყარაიაზზე შეეგებენ რუსეთიდან გამოსახლებული გლეხები და თავიანთი მამასახლისის ხელით „ნაკვეთი“ გადასცეს. „ნაკვეთ“-ში აწერილი იყო იმათი ჭირ-ვარამი და ნამეტურ მაინც სიღარიბე. „მოტყუებულებით გამოგვასახლეს რუსეთიდან და აქაც უმიწა-წყლოთ დაგვყარეს, ქათმის გამოშვებასაც კი აღარ გვაძლევენ, გვემუქრებიან მეფესთან, რომ მოგვანიჭოს მიწა და თავისუფლება“-ო—ემუდარებოდნენ გლეხები და თან-ქუდ მოგდებული მამასახლისი დეპუტატებს.

დეპუტატ ის. რამიშვილმა მოკლე სიტყვით განუმარტა მათ: „სოციალდემოკრატია ყოველდღეს სწირავს, რომ მოსპოს მჩაგვრელები და მოუპოვოს დაჩაგრულებს, განურჩევლათ ეროვნებისა, სრული პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თქვენთვის არის საჭირო წვენი ზურგის გამაგრება და თუ ასეთი მჭიდრო კავშირი გვექნება, მიწას და თავისუფლებას თუ ხვეწნით არა, ძალით მაინც მოვიპოვებთო; გადაეცი ყველას (მიმართა მამასახლისს), რომ როცა საჭირო იქნებით და შეგატყობინებთ, თქვენც ჩვენთან უნდა გამოხვიდეთ ქუჩაში საბრძოლველათ მიწის და თავისუფლების მოსაპოვებლათ“-ო. გლეხებმა ფიცი მისცეს დეპუტატებს, რომ „ჩვენც თქვენთან ვიქნებით საჭიროების დროს“-ო და გზა დაულოცეს.

სდ. ევლახში, სადაც დილის 4 საათზე გვეხვდით, ადგილობრივი დეპოს მუშები შეხვდნენ. ერთმა მათგანმა სიტყვით მიმართა დეპუტატებს; ის. რამიშვილმა აქაც სიტყვა წარმოსთქვა.

სდ. აჯიქაბულში ბლომათ დახვდნენ დეპოს მუშები და რკინის გზის მოსამსახურენი; აქ ერთმა რკინის გზის მოსამსახურეთაგანმა სიტყვა დაიწყო, მაგრამ ჟანდარმებმა შეაწყვეტინეს და არ მისცეს სიტყვის ხმა. მაშინ დეპ. ის. რამიშვილმა მიმართა სახელმწიფო სათათბიროს წევრის სახელით და უთხრა: „ხმა არა გაქვთ, ვიდრე ჟანდარმმა ხალხს ხელი შეუშალოს მას ერთგულ დეპუტატებთან თავის ჭირ-ვარამზე ლაპარაკის დროს“-ო და გაკიცხა პოლიციელების ურცხვი თავხედობა; მოკლე, მაგრამ შეურიგებელი სიტყვით განუმარტა ხალხს სათათბიროს მიზანი და რისთვის მიდიან იქ. ხალხმა განუწყვეტელი ურას ძახილით და ტაშისცემით დააჯილდოვა ორატორი. ერთმა რუსის აფიცერმა კი მიმართა მოკლე სიტყვით ორატორს: „ნეტავ იქაც ეგრე გაბედულათ მოითხოვე ის, რასაც აქ ლაპარაკობ, რისთვისაც ჩვენც მხარს დაგიჭერთო“. ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა ორატორი-აფიცერი.

მიუხედავათ იმისა, რომ სდ. ნავაგაში ცოტა მოსამსახურეა, სამმა მათგანმა მაინც გააცილა საყვარელი ამხ. დეპუტატები სდ. ბალაჯარამდის. ბალაჯარში კი შეხვდნენ ბევრი დეპოს მუშები და ადგილობრივი მოსამსახურენი. რამიშვილმა და სურგულაძემ სიტყვა წარმოსთქვეს, ნოე ჟორდანია კი ჩაუდგა მუშებს შუაზე და ესაუბრებოდა. შემდეგ რევოლიუციონური სიმღერების გუგუნით აცილებდნენ მსმენლებს. ჟანდარმები კი ხელს იღებდენ. წასვლის დროს ხალხმა ხელით შეიყვანა მატარებელში ის. რამიშვილი, რომელმაც უკანასკნელათ გასამხნევებელი სიტყვები წარმოსთქვა, მუშებმაც „ურა“-ს და „ვაშა“-ს ძახილით გამოემშვიდობნენ თავის საყვარელ ამხანაგ-დეპუტატებს და გაისტუმრეს.

ვინ-ხანი.

სამტრედიის რაიონი. მოსხლოვდა ზაფხული და ხალხს სიმინდის ჩვეულებრივი ნაკლებობა დაეტყო; ღარიბებმა სათესლეთ ძლივს მოახერხეს სიმინდის შოვნა და შეძლებულებიც კი ვიღაან მომეტებულ ფასებში; უთუოთ ამ ვარემოებამ გამოიწვია, რომ სიმინდის ქურდობამ იჩინა თავი ჩვენში.

გლეხებმა საკუთარი და წვრილ მემამულეთა მიწების დათესვა ჩვენში თითქმის გაათავეს. მსხვილ მემამულეთა მიწები კი უმეტესათ ეხლაც ხელუხლებელია, ვინაიდან სამტრედიის რაიონში ბევრ ადგილას გლეხთა გაფიცვა წარმოებს. რაც კიდევ ხელუხლებელია დარახველიძის მამული, ს. კუხაშია მიქელაძეების მიწები, ხონელი ნიჟარაძის დიდი მამული, ს. იანეთში—ნაკაშიძის მცირე მიწები და სხ. ამნაირათ ხალხს ეკონომიური მხრით ახლო მომავლის დიდი იმედი არაფერი აქვს პოლიტიკურ ცვლილებაზე დამყარებული.

რეაქციამ თავისი სისხლიანი ბრჭყალები სრულიად მოსდო. ამის გამო ხალხიც გათამამდა და ისევ წინანდებურ განაგრძობს ადგილობრივ მთელ ერობისადმი ბოიკოტსა და პროტესტებს; მემამულეებს კი სასტიკ გაფიცვას უცხადებს; მანამდე ადგილობრივი პოლიცია, მისცემენ ადგილობრივი ხელიკანები; ზოგი მემამულეთაგანიც დამორჩილდა, ბედს და პირობებით ასრულებს მიწის მუშათა მოთხოვნებს.

ასეთია სამტრედიის რაიონის დღევანდელი ცხოვრების საზოგადო სურათი. ეს სურათი მრავალ ადგას აშენებულია მრავალი სასამართლო ზოგი სასიამოვნო და ზოგიც სამწუხარო ფაქტებით; აი ეს ფაქტებიც.

14 მაისს, ს. ენძის მამასახლისმა მოიწვია „ურედნობა“ და მღვდლები, რომ გამოეცხადებინა მთავრობის განკარგულება „დრამის“ შესახებ, ხალხი არ გამოცხადდა; მღვდლებთაგან მოვიდა მხოლოთ ერთი, სახელდობრ ისაკ ახვლედიანი, რომელიც ამას წინათ ხელიკანათ იყო გამოცხადებული და რომელმაც დღესაც არ დაიშალა ხელიკანობა: მამასახლისს განუცხადა თურმე: მიკვირს, რომ მთავრობამ „დრამის“ ფული ამდენხანს არ გადაახდევინა ხალხს; ეს ჩვენთვის ძალიან საშიშრო. მამასახლისმა ისევ

ფელეტონი

—:—

დიალექტიური მეთოდი და ანარხისტები

III *)

წინა წერილში გავარკვიეთ, რა არის დიალექტიური მეთოდი და რით განსხვავდება დიალექტიური აზროვნება მეტაფიზიკურ აზროვნებისაგან. იმ დროს, როდესაც მეტაფიზიკურ მოაზრეს საგნები და მოვლენები განყენებულათ, დროსა და ადგილისაგან დამოუკიდებლათ, ერთხელ და სამუდამოთ დასრულებულათ ეჩვენება,—დიალექტიკური მოაზრე, პირიქით, ყველა საგნებსა და მოვლენებში ხედავს პროცესს, ცვალებადობას, იგი ყველაფერს კონკრეტიულათ, დროსა და გარემოების შეთანხმებულათ, უყურებს. რომ უფრო ნათლათ დავინახოთ განსხვავება დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შუა, შევადაროთ მატერიალისტურ დიალექტიკოსების—სოციალდემოკრატების—და იდეალისტურ მეტაფიზიკოსების—ანარხისტების—შეხედულობები ზოგიერთ საზოგადოებრივ მოვლენებზე. ავიღოთ ჯერ სახელმწიფო.

სოც.-დემოკრატების და ანარხისტების შეხედულობა სახელმწიფოზე ძირითადათ განსხვავდება. ანარხისტები სოც.-დემოკრატებს უწოდებენ სახელმწიფოს მომხრე სოციალისტებს (государственные соціалисты). მაგრამ ესეც, როგორც ყველა ბრალდება, ანარხისტებს უმეცრებით მოსდით. სოც.-დემოკრატები არ არიან სახელმწიფოს მომხრე სოციალისტები, მათ ანარხისტებზე ნაკლებ არ უნდათ ეხლანდელ სახელმწიფოს გაუქმება, ისინი ანარხისტებზე ძლიერ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ სახელმწიფოს; მათ ანარხისტებზე უკეთ ესმით, რა როლს თამაშობს სახელმწიფო საზოგადოებაში, ვისაც კი მარქსიზმის ანაბანაში მაინც არის ჩაუხედია, ეცოდინება, რომ როგორც მარქს-ენგელსს, ისე ყველა მათ მიმდევართ მშვენივრათ ესმით და ყოველ ნაბიჯზე აღნიშნავენ, რომ „რაც უფრო აღრმავებდა და აფართოვებდა მრეწველობის წინსვლა მტრობას კაპიტალსა და შრომას შორის, სახელმწიფო უფრო და უფრო ღებულობდა შრომის დამმონავებელ ძალის ხასიათს, წოდებრივ ბატონობის მაშინის ხასიათს“ (მარქსი). მარქსმა სულ თავიდანვე (ჯერ კიდევ 1846 წ.) სთქვა, რომ „პოლიტიკური ძალა ოფიციალური გამოხატულებაა კლასიურ ანტაგონიზმისა“ („ფილოსოფიის სილატაკე“). ვიმეორებ, ვისაც მარქსიზმის ანაბანა მაინც აქვს გაცნობილი, იმას თითონაც ეცოდინება, რომ მარქსისტულ ლიტერატურაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით სახელმწიფოს კრიტიკას.

ბ-ნი ჩერქეზიშვილი სერიოზულათ უმტკიცებს ქვეყანას, რომ რაკი ენგელსმა დაინახა „დასავლეთ ევროპაში ყველა რევოლიუციონერები სტოვებენ იარაღს სახელმწიფოებრივ სოციალიზმისას და ემხრობიან ანარხისტებს“, რაკი წაიკითხა მორგანის აზრი სახელმწიფოს მოსპობის შესახებ, რაკი დაინახა, რომ ლევ. ტოლსტოის მოძღვრებამ ფეხი მოიკიდაო,—იძულებული გახდა 1894 წელს მოდას მიყოლოდა და თავი სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთ გამოეცხადებინაო. ამას სერიოზულათ ლაპარაკობს კაცი, რომელიც მარქსიზმის ძირიანფესვიანათ გადმობრუნებას ცდილობს! ეს ფაქტი ორნაირათ შეიძლება აიხსნათ: ან ჩვენს „მეცნიერს“ თავის მკითხველების გაბრიყვება მოუნდომებია და შეგნებით ამახინჯებს სიმართლეს, ან მარქსიზმის „ინჩიც“ არ გაუცვნია და, თუ წაუკითხავს რამე, წაკითხულის ვერა გაუგია რა. თითონ მარქსს არსად გამოუთქვამს, რომ სახელმწიფო უნდა მოისპოსო! ჯერ კიდევ 1846—7 წელში „ფილოსოფიის სილატაკეში“ მარქსი ამბობს: „თავის განვითარების გზაზე დამდგარი მშრომელი კლასი ძველ მოქალაქობრივ წყობილებას შესცვლის ასსოციაციათ, რომელშიაც აღარ ექნება ადგილი არც კლასებს და კლასიურ ბრძოლას და არც პოლიტიკურ უფლებას (власть)“. ტოლსტოის მოძღვრების შიშმა ხომ არ ათქმევინა მარქსს ეს სიტყვები? აი ამ სიტყვებს კი მარქსი უეჭველათ მორგანიდან ან კროპოტკინის ნაწერებიდან ამოიკითხავდა: „პროლეტარიატი მოსპობს კლასებს; ამიტომ ეხლანდელი სახელმწიფო, საყვლეფი მანქანა, მოისპობა; საზოგადოებრივი უფლება (власть) პოლიტიკურ ხასიათს დაკარგავს“. („კომ. მანიფესტი 1847 წელს) ენგელსს „ანტიდიურინგშიაც“ აქვს ნათქვამი, „სახელმწიფო უნდა გაქრესო“, ამ სიტყვებს კი, უეჭველია, თვით ბ-ნ ჩერქეზიშვილს მოპარავდა! დიდი ქურდ-ბაცაცები ყოფილან მარქს-ენგელსი!

თუმც მარქსი და ენგელსიც (და ყველა მათი შეგირდებიც, მაგალ., კაუცკი, გედი, ბებელი და სხ.) ქადაგებდენ სახელმწიფოს გაუქმებას, მაგრამ მათი აზრი სახელმწიფოზე მაინც ძირითადათ განსხვავდება ანარხისტების აზრისაგან. რაშია საქმე?

როგორც ყველა მოვლენას, მარქსი, ენგელსი და მათი მიმდევარნი სახელმწიფოსაც დიალექტიურ თვალით უყურებენ. სახელმწიფოებრივი ფორმა საზოგადოებისა ზედნაშენია ეკონომიურ ურთიერთობისა; როგორიც არის ეკონომიური ურთიერთობა საზოგადოებაში, ისეთ ფორმას ღებულობს თვით სახელმწიფოც; ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთად იცვლება სახელმწიფოც. სახელმწიფო არ არის ვინმე მეცნიერის ფიქრის ნაყოფი, სახელმწიფო არ გამოუგონია ვინმე ვერაგ კაცს თავის პირად სარგებლობის დასაცავათ, სახელმწიფო დაწესდა დიდი ხნის პროცესის შემდეგ და გამოწვეულია ეკონომიურ საჭიროებით. როცა საქონლის აღებ-მიცემობის განვითარებამ დაანგრია პატრიარქალური, ნათესაობრივი კავშირები, ხალხმა სულ სხვა წესზე დაიწყო შეკავშირება. „დაარსდა საზოგადოების ახალი ჯგუფები ქალაქსა და სოფელს შუა შემდეგში სხვადასხვაგვარი მრეწველობის შუა შრომის განაწილების ზედგავლენით; ამ ჯგუფებმა თავის სარგებლობის დასაცველათ დაარსეს ახალი ორგანოები, დაწესდა ახალი თანამდებობანი. ამ ახალ სახელმწიფოს ესაჭიროებოდა განსაკუთრებული ძალა წვრილ-წვრილ ომებისთვის და საგარეო გემების დასაცავათ“. (ენგელსი: „როგორ წარმოსდგა ოჯახი. საკუთრება და სახელმწიფო“.) ამნაირათ თავისთავათ, ბუნებრივათ, შეუჩნეველათ და შეუგნებლათ წარმოსდგა სახელმწიფო. მის დაარსებას საჭიროება მოითხოვდა, იგი არ დაარსებულა ბოროტ ან კეთილ ხალხის სურვილით. რაკი დრო მოითხოვდა სახელმწიფოს დაარსებას, ნათესავური კავშირები ერთი მეორეზე ქრებოდა და სახელმწიფოს ფარგალში შედიოდა ბოლოს სახელმწიფო გაიზარდა, კლასობრივი დანაწილება გამწვავდა და უფრო მეტ ძალით აღჭურვილმა კლასებმა სახელმწიფო გადააქციეს დანარჩენ კლასების დასამონავებელ მანქანათ. ჩვენ დროში, კაპიტალიზმის სამეფოში, როგორც დავინახეთ, სახელმწიფო კაპიტალის იარაღია, რაც უნდა დემოკრატიულათ იყოს იგი მოწყობილი. თვით დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ეგეთივე შრომის დამმონავებელი ხასიათი აქვს: „რესპუბლიკა,—ამბობს მარქსი, არა არის რა, გარდა მუშების სოციალურ დამონავებისა რესპუბლიკის მიერ“. მომავალში, სოციალისტურ რევოლიუციის დროს, როცა პროლეტარიატი გააუქმებს კერძო საკუთრებას საწარმოო იარაღებზე, იგი ხელში ჩაიგდებს იმისთანა უზარმაზარ იარაღს, როგორიც არის სახელმწიფო, და ამ იარაღის საშუალებით განამტკიცებს კერძო საკუთრების მოსპობას და ჩაახშობს ყველა კონტრრევოლუციონურ ძალებს. როცა სოციალისტური წარმოება საბოლოოთ ფეხს მოიკიდებს და მთელი საზოგადოება შეეჩვევა მას, როცა საჭირო აღარ იქნება ძალა სოციალისტურ წესების დასაცველათ, მაშინ სახელმწიფო თითონ მოისპობა. „პროლეტარიატი ხელში ჩაიგდებს სახელმწიფო ძალას, საწარმოო იარაღებს ჯერ სახელმწიფოს საკუთრებათ გადააქცევს. ამით პროლეტარიატი მოსპობს თავის პროლეტარიატობას, მოსპობს კლასების განსხვავებას და მათ ბრძოლას, სახელმწიფოც აღარ იქნება სახელმწიფო“. სახელმწიფო წარმოების საჭიროებამ, კლასიურმა ანტაგონიზმმა გამოიწვია, რომ ერთი კლასი მეორის თავდასხმისაგან დაეცვა. „რაკი სახელმწიფო მთელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლათ გახდება, ის მეტ ბარგათ გადიქცევა, რაკი აღარ იქნება ის კლასები, რომლებიც უნდა მორჩილებაში გვყავდეს, მაშინ აღარც ერთი კლასის მეორეზე ბატონობა იქნება; როცა მოისპობა კლასთა შუა შუღლი და ძალადობა, მაშინ აღარავის დასჭირდება ბრძოლა და დამორჩილება, აღარავის დასჭირდება ალაგმა და დაშინება, მაშინ საჭირო აღარ იქნება სახელმწიფო ძალაც, რომელიც ჩვენ დროში ამ ფუნქციებს ასრულებს... სახელმწიფო მოკვდება“.—ამნაირათ მარქს-ენგელსი სახელმწიფოს დიალექტიურათ უყურებენ: სახელმწიფო საზოგადოებრივმა საჭიროებამ წარმოშვა—საწარმოო იარაღის განვითარებამ გამოიწვია; შემდეგში იგი მდიდრების ხელში გადაიქცა ღარიბების დამმონავებელ იარაღათ; მომავალში იგი ღარიბების ხელში უნდა გადიქცეს თანასწორობის განსამტკიცებელ საშუალებათ; რაკი შეასრულებს თავის როლს, ეხლანდელი სახელმწიფო გაქრება და ადგილს დაუთმობს „ასოციაციას“, როგორც ამბობს მარქსი, „საქმეების მართვა-გამგეობას“, როგორც ამბობს გედი.

სულ სხვა თვალით უყურებენ სახელმწიფოს ანარხისტები. იმათ ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილი აქვთ, რომ სახელმწიფო ბოროტება იყო, არის და იქნება. წარსულში მათი აზრით ვიღაც ბოროტ და ხალხის მტერ პირებს გამოუგონიათ სახელმწიფო თავისდა საბედნიეროთ და ხალხის მოსატყუებლათ. მათი აზრით, ისტორიის

*) იხ. „ლამპარი“ № 39.

...ერილობა მეორეთ 21 მაისს, მარა ...ამ დროისთვის უკვე ერთ აზრს და ...ერთსულოვნებას დაადგა: „დრამის ფულის ...ზე მტკიცე უარი განაცხადა: „ჩვენ დრა-...ფულს ვერ გადვიხდით და რაც შეგიძლიათ ...ქნით“.

...ლეხება—მაწის მუშები—არა ნაკლებ ერთ-...ობით აწარმოებენ მსხვილ მემამულეთა წი-...ლმდეგ გაფიცვას. ს. კულაშში გაფიცვა ორ-...ზაციულად აქვთ მოწყობილი, ყველა სასის-...ებში კომისიებია არჩეული და საერთო ...როც უკეთ. მთავრობა კი ჯერ ხმას არ იღებს, ...ერევა ამათ ბრძოლაში, თუმცა რამდენიმე ...ჯერა მემამულემ თავის დროზე მიმართა ად-...ობრივ პოლიციის თხოვნით, დაგვეხმარეთ, ...ით სამტრედიის პოლიცია ამისთვის დღეს ...რა ცხელა: სხვა შიშის ქარები აქვს აშლილი. ...ნაირათ გლეხები წელს ცოტა მიწას ამუ-...ებენ, ნაკლებ შემოსავალსაც მოელიან, მარა ...იმით სულაც არ აღონებს.

...აქაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, ...ებიან ბნელეთის მოციქულნი და ხალხის ...რები, როგორც მაგალ. ვიღაც ჩიქოვანი ფუ-...ს ყოფილი მოიჯარადრე, რომელიც ცდი-...ბს მოაგროვოს ჩვენში ამხანაგთა მოღალატე ...ები და ფოთის შავი ქვის მუშათა არსებულ ...ლს მოციქულობა გაუწიოს, ნაკლებ ფასებში ...ოს თავისი მოღალატე მუშები.

...ბნელეთის და თვითმპყრობელობის კარგი ...ფარული უფილა აგრეთვე დ. სამტრედიის ...არიაც, რომელიც სულ იმაზე ზრუნავს, თუ ...გორ დაზაროს და შეავიწროვოს თავისი ...ქვეითი წვრილი მოსამსახურენი.

სამტრედიის ჟანდარმები იმით ასრულებენ ...თავიანთ უმდაბლეს ძოვალეობას, რომ მხნეთ ...ასდევნიან გაზეთების გამომწერთა დევნას ...ვაგზალში. ამას წინათ კიდევ წაართვეს გაზეთის ...მტარებელ ბავშვს გაზეთის ნომრები, მოით-...ვეს გაზეთების ადგილობრივი აგენტი ჭკუ-...ლი და ორივე- ბავშვიც და აგენტიც დაატუ-...ღეს რამდენიმე საათით; მუქარისა, მუჯლუგუ-...ებისა და ლანძღვის შემდეგ გარეთ გამოაგდეს ...ა სასტიკათ აღუკრძალეს ვაგზალში გაზეთების ...ღება, რადგანაც ამით თურმე ვიღაც „პოდრა-...ჩიკი“ ზარალობს.

15 თუ 16 მაისს, ს. საჯილაოში შუა ღამი-...ს მიუხდა ალექსი გრიგოლიას ექვსი შეიარა-...ღებული კაცი და ვითომდა პარტიის სასარგე-...ლოთ ფული მოითხოვა; გრიგოლიამ რომ ნე-...ბით არ მისცა, ძალით წაართვეს მას 500-მდე მანე-...თი და გაუდგნენ გზას, მარა ბედმა უმტყუნათ. ...იქვე ახლო საუდრის გადავანში სოფელს ყარაუ-...ლათ ყოლია დაყენებული ლუკა ქარცივაძე, რომე-...ლიც შემთხვევით წააწყდა ყაჩაღებს, როცა ისინი ...ფულს იყოფდნენ; ყარაულმა თოფი ესროლა და ...სასიკვდილოთ დასჭრა ერთი ყაჩაღთაგანი—ნოე ...ხიჯაკაძე. შემთხვევით იქვე ახლო დუქანში ...შეკრებილი იყვნენ სადგილ-მამულო კომისიის წევრები და საქმეზე თათბირობდნენ, რომ ამ დროს თოფის ხმა მოესმათ; თოფის ხმაზე გამოცვივდნენ გარეთ და შარა გზით საუდრისკენ გაემართნენ; გზაში ესმოქცეულ ყაჩაღები შეეფეთნენ და ერთი მათგანი ფილიპე ხუჭუა დაიჭირეს, სხვებმა კი თავს უშველეს. ხუჭუამ დაასახელა დანარჩენი ამხანაგებიც.

21 მაისს დ. სამტრედიის ვაჭართან ბ. სხ. სიხარულიძესთან მივიდა სამი საეჭვო პირი და ორგანიზაციის ბეჭედ დასმული ბარათი წარუდგინა, რომლითაც 100 მანეთს ითხოვდა პარტიის სასარგებლოთ. ბ. სიხარულიძემ ასეთივე ბარათი წინა დღესაც მიიღო ვიღაცისგან, მარა მაშინ ხელცარიელი გააბრუნა იმ პირობით, რომ შემდეგ მოსულიყო და ერთი ადგილობრივი მისი საიმედო ნაცნობი მოეყვანა თან; ეს, რა თქმა უნდა, უცნობმა ვერ მოახერხა და ისევ მარტო თავისი ამხანაგები გაგზავნა ფულის გამოსართმევათ, მარა გამოცდილმა სიხარულიძემ ეს ამბავი დაუყონებლივ აცნობა ხალხის მცველებს და მით საზიზღარი მატყუარები სამსჯავროს გადასცა, ხალხმა სამავე მატყუარა მაშინვე შეიპყრო და გამოძიება დანიშნა.

რ. მეხაძე.

მ უ შ ა თ ა მ ო რ ი ს

ამხანაგო მწყემსებო!

დიდი ხნის ტანჯვა-წვალების, დიდი ხნის უსიტყვოთ ჸორჩილების შემდეგ, ჩვენთვის ცხადი დასანახი შეიქნა მთელი ის უსამართლობა, ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ირგვლივ ვხედავთ, თუ როგორ იბრძვიან სხვა დარგის მუშები თავიანთი მყვლეფელების წინააღმდეგ, როგორი ერთსულობით კავშირდებიან ერთმანეთთან და ამ სახით იუმჯობესებენ თავიანთ მწარე ხვედრს.

ახლა ჩავუკვირდეთ ჩვენს საკუთარ მდგომარეობას. ჩვენ, ამხანაგებო, დღიან-ღამიანა ვმუშაობთ. მთელი დღის შრომის შემდეგ ღამე მოსვენების მაგიერ, ჩვენ მაშინაც პირ-უტყვებს უნდა ვსდიოთ. ჩვენ მოკლებულნი ვართ ყოველგვარ თავშესაფარს და ღამ-ღამობით სადღაც კლდე-ღრეებში უნდა ვიხეტიალოთ. მერმე რას გვაძლევენ ჩვენი ალები ასეთ დაუსრულებელ შრომაში? 13—15 მანეთს. ეს ორიოდ გროში ხომ პირდაპირ დაცინვაა ჩვენი შრომისა? ხშირათ ჩვენი ალები „შვილო“-საც გვეძახიან, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის მათ ხელს, პირუტყვებს შეგვადარონ და ჩვენც ჩვენი უმეტყველობით თითქოს ვეთანხმებით მათ. მაშ დავუმტკიცოთ ჩვენს ალებს, ამხანაგებო, რომ ჩვენც კარგათ გვესმის ჩვენი ინტერესები, თუმცა მუდამ კლდესა და ღრეში ვყრივართ, მაგრამ ჩვენც გავიგეთ ცოტა რამ. მაშ მივმართოთ ჩვენს იარაღს, ამხანაგებო, და საერთო გაფიცვით დავანახოთ ალებს, რომ მათ უფრო შეგნებულ ხალხთან აქვთ საქმე, ვიდრე ეგონათ და „შვილოს“ ძახილით ჩვენ საკუთარ ინტერესებს ვერ დაგვიჩრდილავენ. დეე ეს პირველი გაფიცვა იყოს ნიშანი ჩვენი ინტერესების შეგნებულათ დაცვისა. დეე იცოდენ ჩვენმა ალებმა, ჩვენ მივმართავთ ბრძოლის ყოველგვარ საშუალებას დასახული მიზნის მისაღწევათ. დეე იცოდენ ალებმა, რომ ჩვენ არ შევუშინდებით არც უსაქმოთ დარჩენას და შიმშილს, რაც ეგრე საშინელი და აუტანელია. მაშ შევერთდეთ, ამხანაგებო, მკიდროთ მივსცეთ ერთმანეთს მხარი და ერთგულება შევფიცოთ. მხოლოდ ამ შეერთებული ძალით მივაღწევთ ჩვენს დასახულ მიზანს და ვინც ჩვენთან არ იქნება ამ ბრძოლაში, ის ჩვენი მტერია. გაუმარჯოს ჩვენს პირველ გაფიცვას!

აი ჩვენი მოთხოვნილებანი:

1. ავათმყოფობის დროს მწყემსებს მიეცეს ექიმისა და წამლის ფული. 2. მიეცეს ზამთრობით შეშა და ნავთი, ზაფხულობით მხოლოდ ნავთი; 3. მწყემსების დათხოვნა და მიღება მწყემსებისავე საქმე იყოს; 4. თვეში ორი დღე თავისუფალი; 5. ყოველი თვის დამლევს მწყემსს უნდა მიეცეს ხვედრი ჯამაგირი; 6. ოც მანეთზე ნაკლებ ჯამაგირიანს და ოც მანეთიანსაც მოემატოს 40 პროცენტი. ხოლო ოც მანეთზე მეტიანს კი 30 პროცენტი.

—

ხასაპოვის სამკერვალო. ხასაპოვს თავის სამკერვალოში ჰყავს გამომჭრელი, რომელიც აწარმოებს თითქმის მთელ საქმეს. ამ უფლებით აღჭურვილი ბ-ნი გამომჭრელი ნამდვილ ხაზეინის მედიდურებას იჩენს: ზედ-მეტს ამუშავებს, ლანძღავს და აგინებს მუშებს. ხსენებულმა გამომჭრელმა არტემ დანიელოვმა ბრძანებით მიმართა ქარგალს, რომ მას დაერღვია და გადაეკეთებია შარვალი, რადგან ეს შენი შეკერულიაო. ქარგალმა უარი უთხრა, რადგან ნაჭრობით მოშავე იყო. გაბრაზებულმა დანიელოვმა ისე ლონივრათ შემოჰკრა, რომ გულ-შეწუხებული კაცი სტოლიდან ძირს გადმოაგდო. მიწაზე დაცემულსაც იმდენი სცემა, რომ პირიდან სისხლი წასკდა. ნუ თუ ასეთ მხეცურ საქციელს ზოგიერთ ვაჟბატონისას მკერვალთა პროფესიონალურმა კავშირმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს.

მკერვალი

—

ილიკო ომიაძის და მაქრო თოიძის მაღაზია. რეაქციამ ჩვენს ბატონებსაც აუთამაშა გული. ხსენებულ მაღაზიაში ხუთი ბიჭი მსახურებდა. დილის 6 საათიდან საღამოს 12 საათამდე მუშაობდნენ ისინი ე. ი. დღეში 18 საათს. საქმლის ფასათ ხუთ კაცს დღეში 30 კ. ეძლეოდა. ეძინათ ყველას ერთათ პატარა ვიწრო და ნესტიან ოთახში, რომელსაც ქვეშ ფეხსადგილი ჰქონდა მოწყობილი. ათასგვარი მავნე და მკბენარი მწერებით სავსე იყო ეს ბავშვების საწოლი „ბუნაგი“. ამ პირობების გამო სამი ბიჭი იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებია. ერთმა მათგანმა 4 წლიწადი იმსახურა, ხოლო დანარჩენმა ორმა თითო-თითო. მუშა ბიჭებს ერგებოდათ ნამსახური ფული, თუმცა პირველ მათგანს ცოტა ჰქონდა მიღებული. ამ ბოლო ხანებში ერთი მათგანის მამას სახლი დაუწვეს და ხაზეინმა ილიკომ ათი თუმანი გაუგზავნა დამწვარის ოჯახს. და აი როცა ეს ბავში თავს ანებებდა სახლოსნოს ილიკომ უთხრა: „შენ სადღა მიდიხარ, ნაყიდი მყევხარო“.

არ ვიცით რომელი საუკუნე გონია ბ-ნ ილიკოს, რომ კაცების ყიდვა-გაყიდვით წარმოება დაუწყია?

ახლო-მავალი.

პროტესტები ანარქისტების წინააღმდეგ.

—

ჩვენ, ნოქრები, ს. დ. პარტიის წევრები, ზიზღს ვუცხადებთ ანარქისტების გაზეთ „მუშას“, რომელიც სახელს უტეხავს სოციალდემოკრატიას თავის საზიზღარ ცილის წამებით. ამასთანავე მოვითხოვთ რედაქციისაგან შესაფერი სახელი მოუძებნოს გაზეთს, რადგან ღირსი არ არის „მუშას“ სახელის.

ხელს აწერს 275 კაცი.

—

ბათომი, 12 ივნისი. ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი „ბინიატოგლის“ თამბაქოს ფაბრიკის მუშები ზიზღს ვუცხადებთ ამ უკანასკნელ დროს გამოსულ გაზეთ „მუშას“ თავის საზიზღარ მოქმედებისათვის და ვაძლევთ წინადადებას რომ გამოიცვალოს „მუშის“ სახელი.

ხელს აწერს 12 მუშა.

—

ჩვენ იარმუკის ნოქრები, დალაქები, მეტყავეები, ბაყლები, და ყასბები ვუცხადებთ ზიზღს გაზეთ „მუშას“ უსინდისო გარყვნილ და ფლიდ სიტყვების გამოთქმისათვის სოციალდემოკრატების წინააღმდეგ, და აგრეთვე მოვითხოვთ რედაქციისაგან შეუცვალოს სახელი ხსენებულ გარყვნილ გაზეთ „მუშის“ სახელით მონათლულს. იგი ღირსი არ არის ატაროს პატიოსან მშრომელ მუშის სახელი.

ხელს აწერს 92 კაცი.

შენიშვნა წვრილ-ვაჭართა ბიუროს დადგენილების შესახებ.

(მოსამსახურეთა საყურადღებოთ).

1906 წლის თიბათვის 12-ს, თფილისის წვრილ-მოვაჭრეთა ბიუროს მონაწილეობით შესდგა კრება თფილისში არსებულ ტრაქტირების, შაიტხების, შესარდაფე-სირაჯების წარმომადგენლების, სადაც მოწვეულნი იყვნენ მოსამსახურეთა წარმომადგენლებიც, რომლებმაც მოსამსახურეების მონდობილობით წარუდგინეს კრებას შემდეგი მოთხოვნილებები:

1) ცხრა საათის სამუშაო დღე; 2) მუშაობა მორიგეობით. პირველი რიგი იწყებს მუშაობას დილის იქვს საათზე და ათავებს ნაშუადღევის სამ საათზე. მეორე რიგი იწყებს მუშაობას ნაშუადღევის ოთხ საათზე და ათავებს ღამის თორმეტ საათზე. დუქნები იკეტება კვირა-უქმე დღეებშიაც, გარდა შობა-ახალ წლის, ნათლისღების და აღდგომის პირველ დღეებისა. სადილისათვის ერთი საათის დასვენება; 3) ვინც ღებულობს 5—10 მანეთამდე მას მიემატოს 30 პროც; ვინც ღებულობს 10—20 მანეთამდე მას მიემატოს 25 პროც.; ვინც ღებულობს 20—30 მანეთამდე, მას მიემატოს 20 პროც.; ვინც 30—40 მ. ღებულობს მას მიემატოს 10 პროცენტი; 4) ჯამაგირების დარიგება ყოველი თვის ბოლოს; 5) ავათმყოფობის დროს უფასო ექიმობა გარდა ვენერიულ სენისა—ადგილის და ჯამაგირის შენახვით; 6) წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ადგილის და ჯამაგირის შენახვით., 7) ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა., 8) მიეცეს ვინც საჭიროებს სუფთა ტილოები და ფართუკები., 9) თვეში ერთხელ აბანოს ფული ხუთ-ხუთი შაური., 10) თექვსმეტ წელზე ნაკლები არ იქნას მიღებული მოსამსახურეთ; 11) უჯამაგიროთ არავინ იყოს მიღებული; 12) ზრდილობიანი მოპყრობა ალებისაგან; 13) მიღება და დათხოვნა თვით მოსამსახურეების საქმეა. თუ ალა დაითხოვს თავის სურვილით მოსამსახურეს, ის ვალდებულია გამოუცხადოს ამის შესახებ მოსამსახურეს ერთი თვის წინ, და მისცეს სამი თვის ჯამაგირი. თუ მოსამსახურე თავის ნებით ანებებს თავს, ვალდებულია გამოუცხადოს ალას ამის შესახებ ორი კვირის წინ. 14) მოისპოს ხურჯინებით ღვინის ზიდვა და ხაზეინს არ ქონდეს უფლება დაასაქმოს მოსამსახურეებს ის, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს; 15) მოისპოს უთმარბაზობა და უზრდელური გარყვნილება. მოისპოს ლუდხანებში პროსტიტუტკების შენახვა; 16) გაფიცვისთვის არავინ იქნას დათხოვნილი, მიეცეს გაფიცულებს სრული ჯამაგირი.

აი ჩვენ მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები, რომლებზედაც წვრილ მოვაჭრეთა ბიურომ უარით გვიპასუხა. წვრილ მოვაჭრეთა ბიუროს „ლამპარის“ მე-41 ნომერში მოთავსებულ წერილიდან ხსნის ვითომ მათ ჩვენთან შეთანხმებით გამოეტანოთ რეზოლიუცია, რომელსაც დიდი რიხით აცხადებენ გაზეთის ფურცელზე. დამშვიდდით ბატონებო, რას აჩქარებულხართ! ჩვენ ვითხოვთ ჩვენი მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას და გაძლევთ ერთი კვირის ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მუშაობას თავი დავანებოთ.

მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი

რ უ ს ე თ ი

დუმაში ს.-დემოკრატიული ფრაქციის შედგენა. 10 ივნისს სახელმწიფო დუმაში მოხდა სოციალდემოკრატიულ დეპუტატების კრება. თავჯდომარეობდა დეპუტატი ერშოვი. კრების მიზანი სოციალდემოკრატიულ ფრაქციის შედგენა იყო. 10 ივნისს ფრაქციაში 21 დეპუტატი შევიდა: მუშათა დეპუტატები და კავკასიელი სოციალდემოკრატები.

ამათ გარდა ფრაქციაში კიდევ 9 კაცი უნდა შევიდეს ამ დღეებში.

ახლათ შემდგარმა ფრაქციამ გადასწყვიტა: დუმაში ადგილები ისე მოაწყონ, რომ ფრაქცია მშრომელთა ჯგუფიდან განცალკევებულათ (მაგრამ ახლო) მოთავსდეს, ამასთანავე ფრაქციის კომიტეტი შრომის ჯგუფის კომიტეტთან ერთათ მოთავსდება. მხოლოდ გადამწყვეტ შემთხვევებში იმოქმედებს ფრაქცია მშრომელ ჯგუფთან შეთანხმებით, ჩვეულებრივ კი ის დამოუკიდებლათ გამოვა დუმაში.

კამარილას სამხედრო შეთქმულობა ხალხის წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს პეტერბურგში ძლიერ გახშირდა ხმები განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ მზადებულ სამხედრო შეთქმულების შესახებ. შეთქმულების მიზანია დუმის გარეკა და სამხედრო დიქტატურის გამოცხადება. შეთქმულნი საჩქაროთ იმუშავებენ შეთქმულების სისრულეში მოყვანის საბოლოო პლანს. ეს სიჩქარე იმით აიხსნება, რომ ყოველივე წუთი ამცირებს შეთქმულთა გამარჯვების იმედს, რადგან ჯარში რევოლიუციური მოძრაობა ძლიერ იზრდება. ხმებს თუ დავუჯერებთ, შეთქმულთა უკანასკნელი თათბირი 8 ივნისს მოხდა პეტერბურგში. განიხილეს შეთქმულობის განხორციელების ორი გეგმა; ეს ხმები დამახასიათებელია იმ განწყობილებისა, რომელიც მაღალ სფერებში სუფევს.

აგრარული მოძრაობა. სხვა და სხვა ადგილებიდან რუსეთის გაზეთებს ატყობინებენ, რომ სოფლებში მომხდარ ყრილობებზე გლეხებს გადაუწყვეტიათ მოიწვიონ ორატორები ქალაქებიდან.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის რამოდენიმე მაზრაში ძლიერი მღელვარება ეტყობა გლეხებს.

სარატოვის გუბერნიის სერდობსკის მაზრაში რამოდენიმე სოფლის გლეხებმა მეზობელ მემამულეებს გაფიცვა გამოუცხადეს. უმთავრესი მოთხოვნა ღალის ქირის დაკლებაა. მოსული მუშები გარეკეს. სოფ. ეკატერინოვკის გლეხები თავის ნებით თიბავენ მინდვრებს, რომელნიც საგლეხო ბანკის საკუთრებას შეადგენენ.

სოფელ გორელოვის (ორიოლის გუბერნია) გლეხებმა ძალით აალებინეს ხელი მუშაობაზე საერობო უფროსის მამულში მომუშავე დღიურ მუშებს. გლეხები განსაზღვრული ხელფასის დაწესებას მოითხოვენ. გაიგზავნა ორიოლიდან კაზაკები. დაიჭირეს სოფლის სტაროსტა—მოძრაობის მეთაური.

— თავად ბარიატინსკის მამულში (სუჯაში) გლეხებმა დასწვეს თივა და სხვა და სხვა შენობები. გლეხები თავის ნებით აბალახებენ თავის საქონელს მემამულეების საძოვარზე. გლეხებმა ძალით აალებინეს ხელი სამუშაოზე მუშებს და მოსამსახურეებს.

პოგრომების მზადება. კიევიდან მოსულ უცნობმა აგიტატორმა დაარიგა ფურცლები, რომლებიც ებრაელების დასარბევათ იწვევენ ხალხს. მუშებმა სცემეს აგიტატორს და პოლიციაში გაგზავნეს.

შავრაზმელების აგიტაცია და მუშები. მოსკოვის ქარხნებში და ფაბრიკებში შავრაზმელებმა სერიოზულ აგიტაციას მიყვეს ხელი. „ჭეშმარიტ რუსების“ სახელით ავრცელებენ აღმაშფოთებელ შინაარსი ფურცლებს, რომელიც მუშებს „რუსების საქმის“ დასაცველათ იწვევენ. მუშები თავის

დასაწყისიდანვე „მოგვები და თვალთმაქცები, ქურუმები და თავადები მებრძოლ თუ მოთარეშე რაზმებისა ცდილობდენ ხალხზე ბატონობას, მის დამონავებას და ეს იმისთვის, რომ ხალხი მწველელ ფურათ, კმაყოფილების და ბედნიერების იარაღათ გაეხადათ თავისთვის“ („ნობათი“, № 1, გვ. 2). თავის ვერაგულ მიზნის განსახორციელებლათ ამ არამზადა „ქურუმებმა და თვალთმაქცებმა“ გამოიგონეს სახელმწიფო. „ნობათისტები“ დიდი გულმტკივნეული ხალხი! იმათ გული აღშფოთებიათ, როცა გამოურკვევიათ, რა უსამართლოთ, რა ვერაგულათ ჩაუგდიათ ხელში ძალა ხალხის მტრებს, როგორის ცბიერობით „მოუტყუებიათ“ ამ საზიზღარ კაცებს ხალხი, როგორის ოინბაზობით აუხვევიათ ხალხისთვის თვალები სახელმწიფოს დამაარსებლებს. ხალხი,—თვალცრემლიანი გოდებს „ნობათი“,—დაღუპა „მის საკუთარ გულუბრყვილობამ და განურჩევლობამ“; „ნობათის“ გული აჩუყებულა, როცა მიმხვდარა, რომ „ხალხი, ეს მუდმივი და გულკეთილი ბავში, ხანდახან უჯერებს“ რეაქციონერებს. ამნაირათ, ერთის მხრით დგანან „ქურუმები და თვალთმაქცები“, რომლებსაც შეთქმულობა მოუხდენიათ ხალხის დასაშინებლათ და კარგი ხერხიც გამოუგონიათ—სახელმწიფო დაუარსებიათ; მეორე მხრით დგას „გულუბრყვილო და მუდმივი ბავში“—ხალხი, რომელსაც დაუჯერებია ქურუმების და თვალთმაქცების ცბიერი სიტყვები და სახელმწიფოს დაარსებაზე დათანხმებულა. ამ დღიდან დაიწყო თურმე საწყალ ხალხის ტანჯვა; „ნობათისტები“ გულში ხელს იცემენ და ფიქრობენ: „ჰაი დედისა, სად ვიყავით მაშინ ანარხისტები! როგორ ავუხელდით ხალხს თვალებს! როგორ მშრალზე გამოვიყვანდით ხალხს! იმ ვერაგ მოღალატეებს როგორ სათითაოთ ყუმბარებს უთუთქვავდით!“. მაშ „ქურუმები და თვალთმაქცები“ რომ არ გაჩენილიყვნენ ქვეყანაზე, საქმე კარგათ წავიდოდა, ხალხი, „ეს გულუბრყვილო ბავში“ დაუჯერებდა გადია-ანარხისტებს, შემოიღებდა „თემებს“, „თემობრივ მსაჯულებას“, „სამრეწველო არტელებს“, „თავისუფალ რესპუბლიკა-ქალაქებს“, და ამნაირათ იცხოვრებდა არხეინათ, უტანჯველათ, ტკბილათ გაატარებდა თავის დღეებს, ქვეყანაზე გამეფდებოდა დაურღვეველი იდილია... კარგი ოცნებაა, რომ... მეტის მეტი რეაქციონური არ იყოს!

ამნაირათ სახელმწიფო რეაქციონერების, ვერაგ ხალხის გამოგონილი ხრიკია, მაშასადამე „ყოვლათ შეუძლებელია ის გახდეს ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნის პროგრესიულ იარაღათ“, „ის ღირსი არ არის ნდობისა“... ამიტომაც არის, რომ ანარხისტები ჰქქენ და გრგვინვენ სოც.-დემოკრატიულ „პროლეტართა დიქტატურის“ ხსენებაზე. ენგელსის ზემოთ მოყვანილ სიტყვებიდან მკითხველი მიხვდებოდა, რას ნიშნავს „პროლეტარიატის დიქტატურა“. ეხლანდელ გაბატონებულ კლასებს, რომლებიც საზოგადოების უმცირესობას შეადგენენ, უმრავლესობის დასამორჩილებლათ ხელში ჩაგდებული აქვთ სახელმწიფო მანქანა მის ჯარით, ცენტრალისტურ ბიუროკრატიით, თოფ-ზარბაზნით და ფინანსებით. როდესაც პროლეტარიატი აღგება სოციალისტურ წყობილების განსახორციელებლათ, გაბატონებული კლასები, რასაკვირველია, წინააღმდეგობას გაუწევენ, და თუ პროლეტარიატმა ჯარი თავის მხარეზე გადმოიპირა და ფინანსებს და თოფ-ზარბაზნებს დაეპატრონა, გაბატონებული კლასები მაშინ კი ველარ გაუმკლავდებიან მას და იძულებული იქნებიან თავის ბედს დაემორჩილონ. როცა მთელი საზოგადოება შეიჩვევს სოციალისტურ წყობილებას და კონტრ-რევოლიუციის შიში აღარსაიდან იქნება, მაშინ აღარავის ძალით დამორჩილება აღარ იქნება საჭირო და პროლეტარიატის დიქტატურაც გათავდება. თუ პროლეტარიატმა სახელმწიფო ძალა არ ჩაიგდო ხელში, კონტრ-რევოლიუცია თითონ მოაგროვებს რეაქციონურ ელემენტებს, შეადგენს გაწრთვნილ ჯარს მოსყიდულ ლუმპენპროლეტარებისაგან, პროლეტარიატის სისხლით მორწყავს ქვეყანას და დაიბრუნებს თავის ბატონობას. ვისაც „პროლეტარიატის დიქტატურა“ არ უნდა, ვინც პროლეტარიატს უქადაგებს, დიქტატურა არ გინდაო, ას ნებსით თუ უნებლიეთ რეაქციას უწევს სამსახურს. ასე მოსდით ანარხისტებსაც. მეტის მეტი რევოლიუციონერობით ისინი რეაქციას ემსახურებიან და პროლეტარიატს ღალატობენ.

რათ მოსდით ეს? ჩვენ ხომ მათ ვერ დავწამებთ, განგებ გინდათ პროლეტარიატის დაღუპვაო? მათი რეაქციაში ჩავარდნა აიხსნება იმით, რომ ისინი მსჯელობენ მეტაფიზიკურათ და არა დიალექტიკურათ. სახელმწიფოს ისინი უყურებენ როგორც ერთხელ და სამუდამოთ დასრულებულ დაწესებულებას, რომელიც არ იცვლება, რომელიც სულ მუდამ ერთნაირია, სულ ყოველ დროს, ყოველ ადგილს, ყოველს გარამოებებში ბოროტებაა და არ შეიძლება მისი კეთილათ გამოყენება. სახელმწიფო, ვისაც უნდა ქონდეს ხელში მისი სადავე, მაინც ხალხის მტერი იქნება. ან სახელმწიფო, ან ხალხის სამსახური—აი მათი დევიზი. ამ მეტაფიზიკურ „ან—ან“-ს ვერ აშორებიან ანარხისტები და უკვირთ, როცა სოც.-დემოკრატები ამბობენ: „სახელმწიფო—სოციალიზმის განსამტკიცებელ იარაღათ გადაიქცევა“.

ეს პირველი მაგალითი იმისა, თუ როგორი არევ-დარევა მოუხდენია ანარხისტების აზროვნებაში მეტაფიზიკურ მსჯელობას და როგორ გახადა ისინი რეაქციის მსახურებათ დიალექტიკის აბუჩათ აგდებამ.

ლეო.

(შემდეგი იქნება)

მხრით აფრთხილებენ აგიტატორებს, რომ თუ ისინი მათ თავს არ დაანებებენ ძალით გააძევებენ მათ. აგიტატორებს ფული ბლომათ აქვთ და ხშირათ იწვევენ მუშებს ტრაქტირებში, მაგრამ არც ეს შველის საქმეს.

სამხედრო სამინისტრო, კაზაკები და მათი წარმომადგენელი დუმაში. კაზაკების წარმომადგენელ, სედელნიკოვის, სიტყვამ ძლიერ შეაწუხა სამხედრო სამინისტრო. სამინისტრომ მიიღო კიდეც ზომები სედელნიკოვის ავტორიტეტის დასაცემათ: მან გაგზავნა საიდუმლო ბრძანება კაზაკების „სტანიცებში“, რომ კაზაკებს განესაჯათ სედელნიკოვის მოქმედება და შესაფერი მსჯავრი დაედვათ მის შესახებ. სამინისტრო ფიქრობდა სედელნიკოვს კაზაკები თავის წოდებიდან გამორიცხავენო. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, კაზაკებმა მართლა შესაფერი მსჯავრი დასდვეს თავის დეპუტატის საქციელს: მათ სავსებით მოიწონეს სედელნიკოვის მოქმედება. ასეთი ნაყოფი მოიტანა სამინისტროს ბნელმა განძრახვამ.

ღია წერილი

(ბ-ნ ადამაშვილის საყურადღებოთ)

„შრომის“ № 57 მოთავსებულია ბ-ნ ადამაშვილის წერილი „პასუხად „ლამპრის“ რედაქციას“, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს მისსა და ვ. დონდაროვის შუა გამართულ „კამათზე“ ავტონომიის შესახებ. მე ძლიერ განმაცვიფრა ამ წერილის შინაარსმა, თუმცა ამ „კამათის“ დროს მეც იქ ვიყავი და კარგათ მახსოვს ყველაფერი, რაც იმ საღამოს ვილაპარაკეთ, მაგრამ ის, რაც ბ-ნ ადამაშვილმა გვაუწყა თავის წერილში, ჩემთვის სულ ახალია. მე არ ვიცი ბ-ნ ადამაშვილს დასჭირდა რათმე ფაქტების გადაკეთება თუ მეხსიერებამ უღალატა, ხოლო რაკი თვითონ მასახელებს, ვეცდები სინამდვილე აღვადგინო.

უპირველესათ ყოვლისა უნდა ვაღიარო, რომ ბ-ნ ადამაშვილს ცოტა არ იყოს საქმე გაუჭიმავს. იგი სწერს: „პავ. მესხმა და ექიმ დონდაროვის უმცროსმა ძმამ მე და ალექ. ჯავახიშვილი... სასტუმროში შეგვიპატიჟეს ავტონომიაზე საკამათოთ“. „ავტონომიაზე საკამათოთ“ იგი არავის მოუწვევია. ჩვენ შემთხვევით შევიყარეთ ამ საღამოს. ჩვენთან ვ. დონდაროვიც შემოვიდა. სიტყვა ჩვენ ავტონომიის შესახებ ჩამოვარდა. ვ. დონდაროვი, როგორც სოც.-დემოკრატი, წინააღმდეგი იყო საქართველოს ავტონომიის, ამბობდა ჩვენ ხალხს ავტონომია არ მოუთხოვიაო, ისიცა თქვა ჩვენი სოც.-დემოკრატი დეპუტატები საქართველოს ავტონომიას მხარს არ დაუჭერენო, ხოლო ადამაშვილის მიერ მოყვანილი სიტყვები: „თუ სათათბიროში ვინმემ ჩვენთვის ავტონომია მოითხოვა, მე წამოვდგები და გამოვაცხადებ: იმ 30,000 კაცმა, რომელმაც მე გამომგზავნა აქ, დამავალა ხმა-მაღლა განვაცხადო, რომ მათ ავტონომია არ სურთო“—ვ. დონდაროვს არ უთქვამს. ეს სიტყვები მისი არაა, ეს მტკნარი სიცრუეა, ბ-ნო ადამაშვილო! თვით თქვენი წერილიდანა სჩანს, რომ თქვენთვის მეხსიერებას უღალატნია. ახლა კი ამბობთ, დონდაროვმა სთქვა: „მე რომ დეპუტატი ვიყო, ავდგები და ვიტყვი: „იმ ხალხს, რომელმაც მე ამომირჩია, ავტონომია არ უნდა“-ო. მე ვისიმე დავალებით ვიტყვი რასმე, თუ ჩემს აზრს გამოვთქვამ მისი სურვილების შესახებ, ერთი და იგივე არაა. ვ. დონდაროვს არც პირველში მოყვანილი და არც მეორეჯერ თქვენ მიერ სხვა რედაქციით განმეორებული სიტყვები არ უთქვამს და ძლიერ მიკვირს რათ დაგჭირდათ ამ სიტყვების შეთხზვა და მერე ჩვენი მოწმათ დასახელება. მე დარწმუნებული ვარ, ყველა, ვინც კი ჩვენთან იყო იმ საღამოს, ჩემს ნათქვამს გაიმეორებს.

პავლე მესხი.

P. S. სტუდენტი ქალი, რომელსაც ბ. ადამაშვილი ასახელებს, სამწუხაროთ ახლა დაჭერილია და როცა შემთხვევა მიეცემა თვისას იტყვის. დონდაროვის უმცროსი ძმა აქ არ არის. მაგრამ ამათ გარდა იქ სხვებიც იყვნენ, რომელიც ბ. ადამაშვილს არ დაუსახელებია. ვფიქრობ, ისინიც დაგვეხმარება სიმართლის აღდგენაში.

პავლე მესხი.

თფილისის წვრილ ვაჭართა ბიუროსაგან.

1906 წ. ივნისის 12 დღეს თფილისის წვრილ ვაჭართა ბიურომ ითათბირა იმაზე, რომ ამ ბოლოს დროს, თფილისში არსებულ ლიმონათის ქარხნებმა აუწიეს ფასები თავიანთ ქარხნებიდან გამოსულ მინერალურ-ხილეულის წყლებს, და დაადგინა: გამოეცხადოს თფილისის ყველა ლიმონათის წყლის ქარხნებს ბოიკოტი.

აღ. წ. ვ ბიურო მოუწოდებს თფილისის ყველა ვაჭრებს არ დაარღვიონ ბოიკოტი და არც ერთი ბოთლი ლიმონათი არ აიღონ, სანამ ბიურო ბოიკოტს არ ახსნის.

თფილისის წვრილ ვაჭართა ბიურო თხოვს ადგილობრივ გაზეთებს ეს დადგენილება გადაბეჭდონ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე 29 ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა შემდეგის შინაარსისა: ვითომ მე ველიამინოვის ქუჩაზე ღვინით მოვაჭრე ალექსანდრე პეტრესძე ერანოზოვი იგივე ტერტერაშვილი მეტის მეტათ ცუდათ ვეპყრობი ჩემს მუშებს, რომელთაც ვამუშავებ დილა ადრიან დაწყებული ღამის თორმეტსაათამდის. ზემოხსენებულ შენიშვნას ავტორისას ჩემს შესახებ მე ვთვლი ცილის წამებათ, რადგანაც მე ვაჭრობას ვიწყებ დილის თორმეტ საათიდან, და ვაგრძელებ ღამის 11-ს საათამდის, გარდა ამისა რადგანაც მე ვაჭრობ მხოლოდ ღვინით, ხშირათ მოხდება ხოლმე რომ უფრო ადრეც, ცხრა საათამდისაც დავკეტ სარდაფს—ასე რომ აქ მგონია ადგილი არ ექნება მუშების შევიწროებას ჩემის მხრით. რაც შეეხება იმას ვითომ მე ერთი მუშა სამართლიან შენიშვნაზე სალანძღავი სიტყვებით მოვიხსენიე, და იმის ხაზეინს ვურჩიე დაეთხოვნა ბუნტოვჩიკი ადგილიდან, ესეც სიმართლეს მოკლებულია, იმან გამლანძღა მეტისმეტი უშვერი სიტყვებით, რომელსაც დავამტკიცებ კეთილ სინდისიერი მოწმებით.

ალექსანდრე პეტრესძე ერანოზოვ

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთისვე საშუალებით გამოვიწვიო სამედიატორო სასამართლოში თქვენსავე გაზეთში ჩემი ცილის დამწამებელი ვინმე ასალო.

ვიტყვი მოკლეთ: ის ბრალსა მდებს ვითომ მე პოლიციისათვის მიმემართოს როდესაც ჩემს საკანდიტეროში მუშები გაიფიცნენ; ვითომც მე მათ მაგიერ ვამუშავებდი მეეზოვეებს და „რაზნოშჩიკებს“

მისდა წინააღმდეგ მოვიყვან მოწმათ იმავე მუშებს, რომლებთანაც მე უკვე შევთანხმდი, ვიდრე ასალო ამ ცილს დამწამებდა.

მარტინ გევორქოვი.

გაზეთ „ლამპრის“ მე-40 ნომერში მალინოვსკი და კ. ღუმბაძე თავს იმართლებენ თავიანთ საზიზღარ მოქმედებაში და თანაც სამედიატორო სასამართლოში მიწვევენ. ვაებატონებო! ჩემი დათხოვნის მიზეზი თუ ყალბი დეპეშა იყო, რაღა იყო მიზეზი გიორგი და ლავრენტი შუბლაძეების, ბუფეტჩიკ რემანოზის და ბესარიონ დვალის დათხოვნის? უკანასკნელი კიდეც გაეცით როგორც „ბუნტოვჩიკი“ და პოლიციას შეაპყრობიეთ. სასამართლოში გამოსვლა თქვენისთანა ხალხთან მართლა თავის დამცირებათ მიმაჩნია, მაგრამ იმის მიხედვით, რომ სასამართლო უფრო ნათელ ყოფს თქვენს „პროვოკატორულ“ მოქმედებას, დიდი სიამოვნებით გამოვდივარ.

მოსამართლეებათ ჩემი მხრით ვნიშნავ ლევან ნათაძეს და პოლი ოკალანდაძეს 21 ივნისისთვის საღამოს 5 საათზე გაზეთ „ლამპრის“ რედაქციაში.

კანტორჩიკი

ვაცნობებ იმ კანტროლიორებს, რომლებსაც ბრალსა ვსდებდი და რომელნიც საამხანაგო სამართალში მიწვევენ, რომ სიამოვნებათ ვიღებ მათს გამოწვევას, ამასთანავე ვაუწყებ რომ ამა თვის 25 რიცხვიდან შემეძლება მათი მოთხოვნილება დავაკმაყოფილო, რადგან მანამდე სხვა და სხვა მიზეზები ხელს მიშლიან.

მშრომელი

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

16 ივნისი.

პეტერბურგი. აგრარულ კომისიას აზრათ აქვს პირველათ წამოაყენოს სათათბიროში ადგილობრივ მიწების გაწესრიგების საქმეების დაწესებულებების კანონპროექტი. მშრომელთა ჯგუფს აზრათ აქვს შეიტანოს სათათბიროში კანონპროექტი სალდათების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ კანონპროექტით ქვეითთა ჯარში სამსახურის ვადა ორ წლამდე უნდა შემცირდეს და დანარჩენში სამამდე. ოფიცრებს თანასწორათ უნდა მიემატოს ჯამაგირება. მშრომელთა ჯგუფის უკანასკნელ კრებაზე კანონპროექტი სავსებით შემუშავებული ვერ იქნეს და გადასწყვიტეს გადაეცეს სპეციალურ კომისიას, დაწვრილებით გამოსარკვევათ და სახელმწიფო სათათბიროს წარსადგენათ.—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს 15 ივნისს, საღამოს თათბირი ქონდა მიწებზე გადასახლების გაწესრიგების შესახებ. რწმუნებულობის გადამწყვეტელმა შეთანხმებულ ერთმა განყოფილებამ აირჩია კომისიაში სამი: ასხოთოლსკი, ალადინი და დიტცი ვოლინის გუბერნიაში წასასვლელათ არჩევნების კანონიერათ მოხდენის შესახებ გამოსაძიებლათ. კომისია 26 ივნისამდე წავა.—ახალი რკინის გზის კომისიამ 25 ივნისს დაიწყო იმ საკითხის განხილვა გაიყვანონ ახალი რკინის გზა ტიუმენ-ტობოლსკამდე თუ ეკატერინბურგიდან—კურგანამდე.—ტვერიდან ის ხმები ვითომ სისხლი ივნისში ცარსკოე სელოში გადაიდოს.—უმაღლეს ბრძანებით პრეობრაჟენსკის პოლკის პირველი ბატალიონი განსაკუთრებულ ქვეითა ბატალიონათ ნაროჩეს და გვარდიის უფლებები წაართვეს.—გამოცხადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის და მიწების გაწესრიგების მთავარ გამგის ცირკულიარები გუბერნატორებისა სახელმწიფო ქონებათა გამგეობისადმი, რომლებითაც განმარტავენ 4 მარტს უმაღლესათ დამტკიცებულ მიწების გამწესრიგებელ კომისიების მოქმედების საგანს. ამ კომისიის მთავარ საგანს უნდა შეადგენდეს თავდაპირველათ დააკმაყოფილოს ის გლეხები, რომლებსაც ცოტა ან სულ არა აქვთ მიწა და შუამდგომლობა გაწიოს მათსა და მიწის გამყიდველებ შორის და ხელი შეუწყოს გლეხების გადასახლებას. აზრათ აქვთ ამ კომისიებმა წელს ყველგან არ დაიწყონ მოქმედება.—დარია კუზნეცოვა, რომელიც მედავითნე ელინსკის მკვლელობისთვის დაიჭირეს გამოტყდა დანაშაულში. 13 მომკვდან ქალიშვილიდან, რომელიც მას ელინსკისთვის წაურთმევია, სამი მზარეულ ქალ ფედოროვასთვის მიუცია და სამიც თავის მეგობარ ქალებისათვის.—მარიუპოლში, ნოვოროსიისკში და დონის როსტოვში ყველა ნავთსადგურის მუშები გაიფიცენ. მოთხოვნილებები ეკონომიურია.

ეკატერინოსლავი. გაიფიცენ გარვაროლსკის ქვანახშირის მაღაროების მუშები.

იაროსლავლი. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დახურული კადეტების პარტიის ბიურო ისევ გაიღეს.

კრემენჩუგი. პოლიციამ დაიჭირა რამდენიმე აგიტატორი, რომლებიც პოგრომების მოსახდენათ იწვევდა ხალხს. ებრაელები დამშვიდებული არიან.

რიგა. „რიჟ. ვედ.“-ის რედაქტორი ვიტგენსკი, რომელიც „ნაშა ჟიზნ“-იდან დამსჯელ რაზმის მოქმედების შესახებ ცნობების გადაბეჭდვისთვის პასუხისგებაში იყო მიცემული, საოლქო სასამართლომ გაამართლა.

ნიჟნი ნოვგოროდი. განთავისუფლდა 11 პოლიტიკური ტუსაღი.

სოჩი. 14 ივნისს, ფოსტაზე თავდამსხმელებმა წაიღეს მხოლოდ ნივთებიანი პარკი. ის პარკი, რომელშიც 22,000 მ. იყო იქ დარჩათ და წაღება ვერ მოასწრეს.

ბერდიჩევი. საზოგადო ბანკში პროკლამაციების და სამარ პატრონების საწყობი აღმოაჩინეს.

პეტერბურგი. ოფიციალური. ბელოსტოკის დროებით გენ.-გუბერნატორის რაპორტი სამხედრო მინისტრისადმი 10 ივნისს. „1 ივნისს, 12 საათზე, ალექსანდროვის ქუჩაზე მართლ-მადიდებელთა პროცესია მიდიოდა. როცა პროცესიამ ინსტიტუტის ქუჩისკენ შეუხვია, იანკელ ხარიტესის სახლიდან უცნობმა ებრაელებმა ყუმბარა გადმოისროლეს და რევოლვერების სროლა დაიწყეს. ყუმბარით მოკვდა ერთი ქრისტიანი და დაიჭრა 2, რევოლვერით მოკვდა 3 და დაიჭრა 3. იმ წამსვე იქ გაჩნდა როტა, რომელიც პოლიციის სამმართველოში იდგა და თოფები დაუშინა სახლს. პროცესიამ გზა განაგრძო. შემდეგ ამისა ლიპოვის ქუჩაზე, კათოლიკეთა პროცესიას ორი ყუმბარა ესროლეს ებრაელებმა და ფანჯრებიდან და აივნებიდან განუწყვეტლივ რევოლვერებს ისროდნენ. ეს ვეღარ მოითმინეს ქრისტიანებმა და დაიწყეს ებრაელების დუქნების მტვრევა და ებრაელების ცემა. ჩქარა გამოწვეულ იქნა ორი პოლკი ქვეითთა ჯარი და არტილერია. ებრაელები ქრისტიანებს ესროდნენ, რაზედაც ჯარი აძლევდა პასუხს. ორ ივნისს აქა იქ მოხდა პაგრომი, მხოლოდ სროლა კი მთელი დღე არ შეწყვეტილა. ქალაქის განაპირა ადგილებში და ახლო სოფლებში ებრაელები ქრისტიანებს თავს ესხმოდნენ. 3 და 4-ს ღამით საშინელი სროლა იყო. ბოროტგამზრახველნი ესროდნენ უმთავრესათ სახელმწიფო დაწესებულებებს, ბანკს, ფოსტას, ხაზინას, ერთხე კავალერიის დივიზიის შტაბს, პოლიციის სამმართველოს და მესამე საპოლიციო უბანს. 5 და 6 ივნისს სიწყნარე იყო, იმის წყალობით რომ ის ადგილები საიდანაც ბოროტგამზრახველნი ისროდნენ ჯარმა დაიჭირა. 1—5 ივნისამდე მოკლულია 78 ებრაელი, დაჭრილი 84, სალდათები დაჭრილია 4. ჯარის სამაგალითო მოქმედებამ ბოლო მოუღო უწესობას. რომ ხელი შეეუშალა ქალაქში გლეხებისა და ქალაქის განაპირა ქარხნების მუშების შემოსვლას კავალერიის ნაწილი გაგზავნე გზების შესაკვრელათ“.—გენერალ-ლეიტენანტი ფონ-ბადერ“.

ქელცი. სამოსამართლო პალატამ ეპისკოპოზ კრიჟანოვსკის ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა ჯარის წაქეზებისთვის, რომ უფროსების ბრძანება არ ასრულებინათ.

დონის როსტოვი. გამოირკვა რომ ნავთსადგურის მუშები კი არა „ვოლსკო-დონსკის ამხანაგობის“ გემის მოსამსახურეები გაიფიცენ. ნავთსადგურში ჩვეულებრივი მუშაობაა.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობა იმის შესახებ ვითომ განათლების სამინისტრო ოდესის და ხარკოვის საოლქო სამართველო მზრუნველებისათვის მოეთხოვოს ცნობები, პროფესორ გრედესკულმა და შჩეპკინმა სამსახურიდან გასვლის ქაღალდები თუ შემოიტანესო—ტყუილია.—ტყუილია ის ცნობაც ვითომ სამხედრო სამინისტროსთვის მემამულეებს სალდათები ეთხოვოს მინდვრებში სამუშაოთ. სამხედრო სამინისტროს არავითარი ასეთი თხოვნა არ მიუღია.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. კრება დღის 11 საათს და 35 წუთზე გაიხსნა თავ. დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. მოისმინეს არჩევნების წარმოების განყოფილებების მოხსენება. დაამტკიცეს არჩევნები ბაქოს და თფილისის გუბერნიების და ქალაქ თფილისის. სათათბირო შეუდგა გრ. ჰეიდენის წინადადების განხილვას კრების საღამოს შვიდ საათზე შეწყვეტის შესახებ. ჰეიდენი ამის წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება ამ დროს დიდმნიშვნელოვანი კითხვები დაგვირჩეს გასარჩევი, როგორც მაგალითად სიკვდილით დასჯა და ასეთ დროს კრების შეწყვეტით ჩვენ ადამიანს საშიშარ განსაცდელში უნდა ჩავაგდოთო. შეიძლება ვთქვა, რომ ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეს მუდამ შეუძლია გააგრძელოს კრებაო. ჰეიდენის აზრით საზოგადოთ სათათბირო ბოროტათ ხმარობს შეკითხვებს და სამინისტროს ზარბაზნებს უშენს. შეკითხვებზე უფრო მნიშვნელოვანი სათათბიროს კანონმდებლობითი მოქმედებაა. 136 ხმის უმეტესობით სათათბირომ დაადგინა 7 საათის შემდეგ არავის არ მისცეს ლაპარაკის ნება, გარდა იმ ორატორისა, რომელიც ამ დროს კათედრაზე იქნება, რომლის სიტყვის გათავების შემდეგ კრება უნდა დაიხუროს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. სათათბირო შეუდგა კრების შესახებ კანონპროექტის განხილვას. ლედნიცკი თხოულობს ჩაუმატონ კანონ-პროექტს, რომ კრებებზე უცხო ერებს თავის ენაზე შეეძლოთ ლაპარაკი. შემდეგ მემარცხენე ორატორებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს კანონ-პროექტი. სხვათა შორის სოციალისტების წარმომადგენელმა ისარგებლა შემთხვევით და წაიკითხა სოციალდემოკრატიულ პარტიის სათათბიროს ფრაქციის დეკლარაცია. დეკლარაცია ესხმება პირდება სათათბიროს, მაგრამ ამასთანავე ამბობს, რომ სათათბირო გადასასვლელი საფეხურია დამფუძნებელ კრებისკენ. სოციალისტები სხვათა შორის მოითხოვენ სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით შეცვლას. რამიშვილმა და აბრამსონმა აღნიშნეს, რომ კანონპროექტით კრების თავისუფლება შეზღუდულია და წინადადება შეიტანეს დაადგინონ, რომ ხალხს მუდამ და უპირველეს ქონდეს შეკრების უფლება. რამიშვილმა თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა, რომ თუმცა მთავრობა ეცადა, და დეპუტატები გაცრა-გამოცრა, მაგრამ იმ მცირე რიცხვოვანს სოციალისტ დეპუტატებს უკან მთელი რუსეთის ხალხი დგას, რომელიც მათ მხარს დაუჭერს. გრ. ჰეიდენმა სთქვა, რომ კანონპროექტის განხილვამ ორი შეხედულება აშკარათ დაგვანახვა: უფლებრივი სახელმწიფოს და სოციალისტურის. ის ფიქრობს, რომ ადამიანის პიროვნება უზრუნველყოფილი იქნება, უკეთუ სათათბირო მშვიდობიან გზით ეცდება რეფორმების მოხდენას. პროფ. გრედესკული სიხარულით ეგებება ჩვენი სოციალდემოკრატიის აშკარათ გამოსვლას პარლამენტში და თან დასძენს, რომ სოციალდემოკრატ ორატორებმა, ანარქისტული თეორია გამოსთქვეს და არა სოციალდემოკრატიულიო. კანონმდებლობითი ნორმა, რომელიც სათათბირომ შეიმუშავა პარლამენტის სამინისტროსთვისაა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხალხის წარმომადგენლების წინაშე. პროფ. კოტლიარევსკი ამბობს, რომ სათათბიროს სხვა ენათ არ შეუძლია ლაპარაკი გარდა კანონმდებლობითისათ. თუმცა მართალია კარგია, რომ თავისუფლების მოთხოვნები საზოგადო პრინციპების სახით იყოს გამოთქმული, მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საზოგადო პრინციპები მუდამ განუხორციელებელი რჩება. არ უნდა დავივიწყოთ დასავლეთ ევროპის მაგალითი, არ უნდა გაგვიტაცოს რაღაც სლავიანოფილურმა სოციალიზმმა, არ უნდა მივაწეროთ რუსეთის ხალხს, რაღაც არა ჩვეულებრივი თვისებები და უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ საუკუნოებით ტანჯულმა ხალხმა თან და თან უნდა შეუდგეს ახალი ცხოვრების დამყარებას და ამისთვის პროგრესიული გზის მთელი საფეხურები უნდა გაიაროს. სათათბიროს მიზანია შექნას უფლებრივი სახელმწიფო, თვითნებობის სახელმწიფოს მაგიერ. დღეს, ხვალ ეს კითხვაა, მაგრამ ხვალ, ზეგ ის სინამდვილეთ გადაიქცევა. პოდაპოლოვმა ჰეიდენის წინააღმდეგ სთქვა, რომ სოციალიზმის დამყარების დროს გრაფი ჰეიდენები აღარ იქნებიანო. თავმჯდომარე აჩერებს. „მე წინააღმდეგი არა ვარ“—განაცხადა ჰეიდენმა (ცენტრში და მარჯვნივ ტაშს უკრავენ). შემდეგ ორატორი ადარებს კანონ-პროექტს „ტრიშკას კაფტანს“ და მოუხრეა მხოლოდ პირველი პარაგრაფი დარჩეს. საველიევი წინააღმდეგია რამე შეზღუდვის. რუმიანცევი წინააღმდეგობას აცხადებს და ამბობს, რომ სათათბირომ ტოდეს ნაიდინა, როცა მან სახელმწიფო ცხოვრებას პირველ რიგში სოციალდემოკრატების უფლება წამოაყენა. პეტრაჟიცკი ამბობს, რომ სოციალდემოკრატების საყვედურმა, კრების თავისუფლების კანონპროექტის შეზღუდვის შესახებ, რაიც არა ბუნებრივი, უკანა შთაბეჭდილება მოახდინა. საყვედურები კრების თავისუფლების გაფართოების კი არა, უმეტესი რადიკალიზმის დემონსტრაციაა. ის სიხარულით ეგებება სოციალდემოკრატიულ ფრაქციას და ამბობს, რომ მას მოუწოდებს მუშათა კლასის ნამდვილ ინტერესების დასაცველათ. მასლოვმა კანონპროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა და სთქვა, რომ სოციალისტური შეხედულების თანახმათ ხალხს დიდი ნდობა უნდა გამოვუცხადოთო. ორატორი უკმაყოფილოა არჩევნების და ძლიერ სწყენია აქვს, რომ დუმაში ცოტა მოხვდნენ სოციალისტები. შერშენევიჩი ამბობს, რომ თანამედროვე საზოგადოება ჯერ კიდევ იმდენათ მომზადებული არაა, რომ იურიდიულ საზოგადოებიდან გამოვიდეს და ყველაფერი ეთიკას და ზნეობაზე დამყარდეს; თუ საზოგადო პრინციპებით დავკმაყოფილდებით, მაშინ არაფერი კანონები არ არის საჭიროთ. ორატორი პროტესტს აცხადებს სოციალ-დემოკრატებთან დამოკიდებულების შესახებ. სათათბიროში ყველა თანასწორი ვართო და ყველა საკანონმდებლოთ მოვსულვართო. შემდეგ შეტანილ იქნა შეკითხვა შეჩერებულ იქნას სიკვდილით დასჯა მცირე-წლოვან ფაიფაევის შესახებ. ლედნიცკიმ მხარი დაუჭირა შეკითხვას და სთქვა, რომ ვარშავის სამხედრო სასამართლომ ფაიფაის კატორღა გადაუწყვიტა და მთავარმა სამხედრო სასამართლომ კი სიკვდილით დასჯაზე შეუცვალათ. უფროსი სამხედრო პროკურორი ისევ სცდილობს სავჯის ხელში სიკვდილით, და გზაში ელოდება მათ მშვიდობიან განახლებას. (ტაშის ცემა) კუზმინ კარავაევმა დაამტკიცა, რომ მთავრობა სამხედრო სასამართლო უკანონო-კანონს გრეშე მოიქცა.

მოსკოვი. არტემიევის ბინაზე ყუმბარების და იარაღის საწყობები აღმოაჩინეს. იპოვეს გამზადებული ყუმბარები და რამდენიმე ფუთი თოფის წამალი. არტემიევები დაატუსაღეს. დაიჭირეს 20 კაცი.

ვარშავა. ხუთ საათზე ქუჩით მიმავალ პრაგის ჟანდარმთა გამგეობის უფროსს პოლკ. სურადოვს ყუმბარა ესროლეს ტარგოვი ქუჩაზე. მურადოვი მსუბუქათ დაიჭრა. თანმხლები ჟანდარმი და მეეტლე მძიმეთ დაიჭრნენ. ბოროტგამზრახველნი მიიმალნენ. გლეხი პაპაევი, რომელმაც მკვლელობისთვის სიკვდილით დასჯა ქონდა გადაწყვეტილი უკვე ჩამოახრჩვეს.

ომსკი. გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები. მოთხოვნები ეკონომიურია.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია უმაღლესათ დამტკიცებული 26 აპრილს 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წინადადება ხმელეთის და საზღვაო ჯარის სამსახურის ვადის შეცვლების შესახებ.

პეტერბურგი. დღეს გაზეთ „პრიზივ“-ის მაგიერ გამოსული „იზრივ“-ის ნომრები დაიჭირეს სახელმწიფო სათათბიროს მუშათა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის დაბეჭდვისთვის.

ქუთაისი. „ნადეჟდას“ საზოგადოების კანტორას თავს დაესხა ორი შეიარაღებული უცნობი. გაიტაცეს 1500 მ. და მიიმალნენ.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დაიბეჭდა და იყიდება მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი

საქართველოს ისტორია

ტ. 1. უძველეს დროითგან 985 წ. ქრ. შ. ითხის რუქით და ქრონოლოგიურის ტაბულებით. წიგნი „მოამბის“ ზომისაა, შეიცავს XVI+392 გვ. ღირს 1 მან.

„საქართველოს ისტორიის“ მეორე გამოცემას გაზ. „კვალმა“ მიუძღვნა შემდეგი სიტყვები: „ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა, ახალი ისტორია მ. ჯანაშვილისა. ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭიროებდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს ლოცვანივით. რაც უნდა ნაკლულევანება ქონდეს ასეთს სახელმძღვანელოს, მაინც იგი დარჩება ერთ საუკეთესო და სასიამოვნო მოვლენათ ამ დროის ქართულ ლიტერატურასა და მწიგნობრობაში“ („კვალი“ 1895, № 12, გვ. 4).

მსწრაფლ მბეჭდავი

ს ტ ა მ ბ ა

გრიგოლ ჩარკვიანისა

გადავიდა მიხეილის ქუჩაზე № 40 რეალურ სასწავლებლის პირდაპირ.